პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობათა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

პარასკევი, 13 მაისი, 1949 წ. № 94 (8397). ფასი 20 კაპ.

ერთიანი ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პროფკავშირთა X ყრილობის დადგენილება

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენების გამო

სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა X ყრილობამ მოისმინა და განიხილა ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვის საანგარიშო მოხსენება პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მუშაობის შესახებ და დაადგინა: მოწონებულ იქნას პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული მუშაობა.

პროფესიულ კავშირთა IX ყრილობიდან განვლილი წლების მანძილზე საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენები მოხდა.

სოციალიზმის აშენების ლენინურ-სტალინური გეგმის მამაცურების შედეგად ჩვენი ქვეყანა გადაიქცა მძლავრ სოციალისტურ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ მსოფლიოში ყველაზე მოწინავე და ყველაზე მსხვილი კოლექტიური სოფლის მეურნეობით. სოციალისტური სისტემა სსრ კავშირში მეურნეობის ერთადერთი, განუყოფლად გაბატონებული სისტემა გახდა. ჩვენს ქვეყანაში სამუდამოდ მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, ბოლო მოეღო კრიზისებს, უმუშევრობას, სიღატაკესა და მასების გაჩანაგებას. სსრ კავშირში შრომა გადაიქცა ღირსების, დიდების, მამაცობისა და გმირობის საქმედ. გაუფუყვეტლივ უმჯობესდება ხალხის მატერიალური კეთილდღეობა. საბჭოთა კავშირი ყველაზე მოწინავე კულტურის ქვეყანა გახდა.

საბჭოთა ხალხმა, რომელსაც ხელმძღვანელობს ბოლშევიკების პარტია, გენიალური ბელადი და მეხელართმთავარი ამხანაგი სტალინი, მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვა დიდ სამამულო ომში გერმანელ ფაშისტს დამპყრობთა წინააღმდეგ, რომლებიც ვერაფერ დაესხნენ ჩვენს ქვეყანას, დაიცვა თავისი სამშობლოს ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა, იხსნა კაცობრობა ფაშისტური მონობის საფრთხისაგან.

„საბჭოთა კავშირის მუშებმა, რომლებმაც მშვიდობიანი მშენებლობის წლებში შექმნეს დიდად განვითარებული ლმაერი სოციალისტური მრეწველობა, სამამულო ომის დროს დაძაბული და მჩქეფარე მუშაობა გააჩაღეს ფრონტის დასახმარებლად და ნამდვილი შრომითი გმირობა გამოიჩინეს". (სტალინი).

დიდ სამამულო ომში გამარჯვებამ მთელი ძალით ცხადყო საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უპირატესობა კაპიტალიზმის წინაშე.

ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა ხალხი, აღფრთოვანებული ამხანაგ სტალინის 1946 წლის 9 თებერვლის ისტორიული სიტყვით, უდიდესი ენთუზიაზმით შეუდგა სახალხო მეურნეობის აღდგენასა და შემდგომ განვითარებას და აბორიგენელებს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის დიდ ამოცანებს.

კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის ყველა ეტაპზე პროფესიული კავშირები განუფუყვეტლივ ხელმძღვანელობდნენ და ხელმძღვანელობენ ლენინისა და სტალინის მითითებებით პროფკავშირების, როგორც კომუნიზმის სკოლის, როლის შესახებ. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების), პარტიისა და ხალხის დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობაშია საბჭოთა პროფკავშირების ძალა.

პირველი სამი ხუთწლიანის პერიოდში პროფესიულმა კავშირებმა რაზმავდნენ მასების შემოქმედებით აქტივობას ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინურ-სტალინური გეგმის შესასრულებლად. დიდი სამამულო ომის წლებში პროფესიული კავშირები ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ეწეოდნენ დაძაბულ ორგანიზატორულ და აღმზრდელობით მუშაობას მასებში, მთელი თავისი საქმიანობა დაუმორჩილეს ომს, რომ განეხორციელებინათ პარტიის საბრძოლო მოწოდება: „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის!".

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ პროფესიული კავშირები, ლენინ-სტალინის პარტიის მოწოდებით, სათავეში ჩაუდგნენ სოციალისტურ შეჯიბრებას ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ადრე დამთავრებისათვის. პროფკავშირები პრაქტიკულად უნდა დაეხმარნენ შეჯიბრებაში ჩაბმულთ იმ ვალდებულებათა შესრულებაში, რომლებიც ეკისრეს როგორც ცალკეულმა მუშებმა, ისე ბრიგადების, უბნების, საამქროებისა და საწარმოების კოლექტივებმა შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების, ახალი ტექნიკის დანერგვისა დაათვისების, შრომატევადი პროცესების მექანიზაციის და წარმოების რაციონალიზაციის, ზეგეგმითი დაგროვების გადიდებისა და საბრუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარების დარგში.

საწარმოების, საამქროების, ბრიგადების შეჯიბრებაში ჩაბმულ კოლექტივთა ყურადღება უნდა მიექცეს მოწყობილობის უკეთ გამოყენებას, ნაკადური მეთოდების, ლითონის დამუშავების ჩქარი მეთოდების, წარმოების ავტომატიზაციისა და წარმოების სხვა მოწინავე მეთოდების ფართოდ დანერგვას.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ბოლო უნდა მოუღონ სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის ელემენტებს, გაუმჯობესონ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება, ფართოდ გაავრცელონ წარმოების ნოვატორთა წამოწყებანი, ხელი შეუწყონ უბნებისა და საამქროების გადასვლას კოლექტიურ სტანდარტებზე.

ამ მიზანი აღაფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს ახალ-ახალი შემოქმედებითი შემართებისათვის, ახალ-ახალი შრომითი გმირობისათვის.

ყრილობის დადგენილებაში განსაზღვრულია პროფკავშირების ამოცანები სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და განვითარებისათვის ბრძოლაში. პროფესიული კავშირების უპირველესი მოვალეობაა გაფფართოოს და განამტკიცოს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის გაჩაღებული საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრება. ისინი მოვალენი არიან ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი სიახლეს შეჯიბრებაში, წაახალისონ წარმოების ნოვატორები, ფართოდ გაავრცელონ შრომის მოწინავე, სტახანოვური მეთოდები, ფართოდ გაავრცელონ სოციალისტური შრომის გმირობის, სტალინური პრემიის ლაურეატების მიღწევები. საჭიროა რაც შეიძლება მალე მოეღოს ბოლო ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის ელემენტებს სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში, შეუთავაზად უნდა ვცდილობდეთ მოწინავეთა დონეზე ავიყვანოთ ჩამორჩენილნი.

ჩვენს ქვეყანაში უფრო და უფრო ფართოდ ჩაედგა შეჯიბრება ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის, სასაკონლო-მატერიალური ფასეულობის ბრუნვის დაჩქარებისათვის, ნედლეულისა და მასალის დაზოგვისათვის, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი ასორტიმენტის გაფართოებისათვის. ყოველნაირად დაუჭირონ მხარი მუშათა კლასის ამ ქვემოდან მომდინარე ინიციატივას, მთელი საწარმოო კოლექტივების კეთილშობილად გადააქციონ მოწინავეთა მოღწევანი — ეი რა არის საბჭოთა პროფესიული კავშირების უმნიშვნელოვანესი მოვალეობა.

პროფკავშირთა X ყრილობამ დიდი ამოცანები დასახა შრომის დაცვისა და უშიშროების ტექნიკის შემდგომი გაუმჯობესების დარგში, მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების, მათი კულტურული დონის ამაღლების, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის დარგში. საქმე ის არის, რომ ფართოდ განვუმარტოთ X ყრილობის გადაწყვეტილებანი მუშა-მოსამსახურეთა მასებს, პროფკავშირის ყველა წევრს, მტკიცედ მოვკიდოთ ხელი მათს განხორციელებას.

საბჭოთა პროფკავშირები აქტიურ ბრძოლას ეწევიან მუშათა კლასის საერთაშორისო ერთიანობისათვის, დემოკრატიული ბანაკის ძალების შემდგომი დარაზმვისა და განმტკიცებისათვის, ახალი ომის გაჩაღებლთა წინააღმდეგ. ეს ერთიანობა თავიანთი სასიცოცხლო ინტერესებისათვის, მთელ მსოფლიოში მტაცებელ მონოპოლისტურ ბურჟუაზიასა და ბიუროკრატიულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების, მათი კულტურული დონის ამაღლების, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის დარგში. საქმე ის არის, რომ ფართოდ განვუმარტოთ X ყრილობის გადაწყვეტილებანი მუშა-მოსამსახურეთა მასებს, პროფკავშირის ყველა წევრს, მტკიცედ მოვკიდოთ ხელი მათს განხორციელებას.

საბჭოთა პროფკავშირები აქტიურ ბრძოლას ეწევიან მუშათა კლასის საერთაშორისო ერთიანობისათვის, დემოკრატიული ბანაკის ძალების შემდგომი დარაზმვისა და განმტკიცებისათვის, ახალი ომის გაჩაღებელთა წინააღმდეგ. ეს ერთიანობა თავიანთი სასიცოცხლო ინტერესებისათვის, მთელ მსოფლიოში მტაცებელ მონოპოლისტურ ბურჟუაზიასა და ბიუროკრატიულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების, მათი კულტურული დონის ამაღლებისა, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის დარგში. საქმე ის არის, რომ ფართოდ განვუმარტოთ X ყრილობის გადაწყვეტილებანი მუშა-მოსამსახურეთა მასებს, პროფკავშირის ყველა წევრს, მტკიცედ მოვკიდოთ ხელი მათს განხორციელებას.

საბჭოთა პროფკავშირების მოქმედების საბრძოლო პროგრამა

დღეს „პრავდა" აქვეყნებს სსრ კავშირის პროფკავშირთა X ყრილობის დადგენილებას პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენების გამო.

ეს დადგენილება აჯამებს საბჭოთა პროფკავშირების იმ დიდი და ნაყოფიერი მუშაობის შედეგებს, რომელიც მათ შეასრულეს ამ უკანასკნელ წლებში ბოლშევიკური პარტიის, პარტიისა და ხალხის დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, სახალხო სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებისათვის, კომუნიზმისათვის საბჭოთა პროფკავშირების შემდგომი უფრო აქტიური ბრძოლის გზებს.

საბჭოთა ხალხმა ლენინ-სტალინის პარტიის წინამძღოლობით მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ გადააქცია თავისი ქვეყანა. სოციალიზმმა გაიმარჯვა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების ყველა დარგში. მკვეთრად გაუმჯობესდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. განუზომლად ამაღლდა მათი კულტურული დონე. სსრ კავშირში შრომა გახდა ღირსების, დიდების, სიმამაცისა და გმირობის საქმე.

კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლაში საბჭოთა პროფკავშირებს უდიდესი როლი ეკუთვნით. საბჭოთა პროფკავშირების ძალას წარმოადგენს ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობა. „ყველაზე უფრო დამახსიათებელი ჩვენი პროფკავშირების განვითარების ისტორიაში, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — ის არის, რომ ისინი წარმოიშვნენ, ვითარდებოდნენ და განმტკიცდნენ პარტიის შემდეგ, პარტიის გარშემო და პარტიასთან მეგობრობით".

ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა პროფკავშირები მილიონობით მუშასა და მოსამსახურეს წრდილ საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, შრომისა და სოციალისტური საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით. ისინი ბრძვიან ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევისათვის, ზრუნავენ მუშათა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებისათვის. პროფკავშირები ჩვენს ქვეყანაში მართა-გამგებლობის ნამდვილ სკოლას, მეურნეობის გაძღოლის სკოლას, კომუნიზმის სკოლას წარმოადგენენ.

ომისწინა წლებში პროფესიული კავშირები ფართო მასების შემოქმედებითს აქტიურობას წარმართავდნენ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინური გეგმების რაც შეიძლება მალე განხორციელებისაკენ. დიდი სამამულო ომის მკაცრ და მრისხანე ჟამს პროფესიული კავშირები მთელ თავიანთ მოღვაწეობას უქვემდებარებდნენ ძირითადსა და მთავარს — მტერზე გამარჯვებას. ახლა მათ წინაშე ანალიზებული ამოცანები დგას.

„ახლანდელ ისტორიულ პერიოდში, — ნათქვამია X ყრილობის დადგენილებაში, — როცა ყველა საბჭოთა ადამიანი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებით შრომობს კომუნისტური საზოგადოების აშენების დიდი სტალინური პროგრამის განხორციელებისათვის, პროფესიულ კავშირებმა უფრო უნდა გაძლიერონ თავიანთი როლი კომუნიზმის სკოლისა, უფრო ფართოდ დარაზმონ მასების შემოქმედებითი აქტივობა და ენერგია ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობისა და ეროვნული კულტურის აღმაფლობისათვის, უფრო მჭიდროდ დარაზმონ მშრომელები ბოლშევიკების პარტიის, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო".

ომისშემდგომი ხუთწლედის გასულ სამ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში საბჭოთა ხალხმა უდიდესი წარმატებანი მოიპოვა დიად სამუშაოდ სტალინური გეგმის განხორციელებაში. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა ახალ მძლავრ აღმავლობას განიცდის. სოციალისტურმა ინდუსტრიამ გადაჯარბა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ომამდელ დონეს, მარცხეული კულტურების საერთო მოსავლიანობამ მიაღწია ომამდელ დონეს, ხოლო ჰექტარზე მარცხეული კულტურების საშუალო მოსავლიანობამ ომამდელს გადააჭარბა. საბარათო სისტემის გაუქმებამ, გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლამ, ფასების შემცირების თანმიმდევრულმა პოლიტიკამ, მანეთის განმტკიცებამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს ჩვენი ეკონომიკის შემდგომ განმტკიცებაში, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებაში.

მაგრამ ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზრდილი საბჭოთა ადამიანებისათვის უცხოა ყოყოჩობა და თვითდამშვიდება. საბჭოთა ადამიანები მუდამ წინ იყურებიან! ხოლო წინ ჩვენ დასახული გვაქვს დიადი და ნათელი მიზანი — კომუნისტური საზოგადოების აშენება. ეს ამოცანა ალაფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს ახალ-ახალი შემოქმედებითი შემართებისათვის, ახალ-ახალი შრომითი გმირობისათვის.

ყრილობის დადგენილებაში განსაზღვრულია პროფკავშირების ამოცანები სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და განვითარებისათვის ბრძოლაში. პროფესიული კავშირების უპირველესი მოვალეობაა გაფფართოოს და განამტკიცოს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის გაჩაღებული საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრება. ისინი მოვალენი არიან ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი სიახლეს შეჯიბრებაში, წაახალისონ წარმოების ნოვატორები, ფართოდ გაავრცელონ შრომის მოწინავე, სტახანოვური მეთოდები, ფართოდ გაავრცელონ სოციალისტური შრომის გმირობის, სტალინური პრემიის ლაურეატების მიღწევანი. საჭიროა რაც შეიძლება მალე მოეღოს ბოლო ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის ელემენტებს სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში, შეუთავაზად უნდა ვცდილობდეთ მოწინავეთა დონეზე ავიყვანოთ ჩამორჩენილნი.

ჩვენს ქვეყანაში უფრო და უფრო ფართოდ ჩაედგა შეჯიბრება ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის, სასაკონლო-მატერიალური ფასეულობის ბრუნვის დაჩქარებისათვის, ნედლეულისა და მასალის დაზოგვისათვის, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი ასორტიმენტის გაფართოებისათვის. ყოველნაირად დაუჭირონ მხარი მუშათა კლასის ამ ქვემოდან მომდინარე ინიციატივას, მთელი საწარმოო კოლექტივების კეთილშობილად გადააქციონ მოწინავეთა მოღწევანი — აი რა არის საბჭოთა პროფესიული კავშირების უმნიშვნელოვანესი მოვალეობა.

პროფკავშირთა X ყრილობამ დიდი ამოცანები დასახა შრომის დაცვისა და უშიშროების ტექნიკის შემდგომი გაუმჯობესების დარგში, მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების, მათი კულტურული დონის ამაღლების, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის დარგში. საქმე ის არის, რომ ფართოდ განვუმარტოთ X ყრილობის გადაწყვეტილებანი მუშა-მოსამსახურეთა მასებს, პროფკავშირის ყველა წევრს, მტკიცედ მოვკიდოთ ხელი მათს განხორციელებას.

საბჭოთა პროფკავშირები აქტიურ ბრძოლას ეწევიან მუშათა კლასის საერთაშორისო ერთიანობისათვის, დემოკრატიული ბანაკის ძალების შემდგომი დარაზმვისა და განმტკიცებისათვის, ახალი ომის გაჩაღებელთა წინააღმდეგ. ეს ერთიანობა თავიანთი სასიცოცხლო ინტერესებისათვის, მთელ მსოფლიოში მტაცებელ მონოპოლისტურ ბურჟუაზიასა და ბიუროკრატიულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების, მათი კულტურული დონის ამაღლებისა, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის დარგში. საქმე ის არის, რომ ფართოდ განვუმარტოთ X ყრილობის გადაწყვეტილებანი მუშა-მოსამსახურეთა მასებს, პროფკავშირის ყველა წევრს, მტკიცედ მოვკიდოთ ხელი მათს განხორციელებას.

პროფკავშირთა ამოცანები სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და განვითარებისათვის ბრძოლაში

პარტიის ხელმძღვანელობით პროფკავშირები სათავეში უდგანან სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც წარმოადგენს **„სოციალიზმის მშენებლობის კომუნისტურ მეთოდს** მშრომელთა მეალოინიანი მასების მაქსიმალური **აქტივობის** საფუძველზე". (სტალინი).

პროფკავშირები ავითარებენ ჭასების შემოქმედებითს აქტივობას, ბრძოლა უჭირენ და ახალისებენ სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა ინიციატივას, აწყობენ წარმოების ნოვატორთა გამოცდილების ყველი მუშისათვის გადაცემას.

ყრილობას მიაჩნია, რომ პროფკავშირთა უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაჩაღება სახალხო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის გადადე დამთავრებისათვის. პროფკავშირები პრაქტიკულად უნდა დაეხმარნენ შეჯიბრებაში ჩაბმულთ იმ ვალდებულებათა შესრულებაში, რომლებიც ეკისრეს როგორც ცალკეულმა მუშებმა, ისე ბრიგადების, უბნების, საამქროებისა და საწარმოების კოლექტივებმა შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების, ახალი ტექნიკის დანერგვისა დაათვისების, შრომატევადი პროცესების მექანიზაციის და წარმოების რაციონალიზაციის, ზეგეგმითი დაგროვების გადიდებისა და საბრუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარების დარგში.

საწარმოების, საამქროების, ბრიგადების შეჯიბრებაში ჩაბმულ კოლექტივთა ყურადღება უნდა მიექცეს მოწყობილობის უკეთ გამოყენებას, ნაკადური მეთოდების, ლითონის დამუშავების ჩქარი მეთოდების, წარმოების ავტომატიზაციისა და წარმოების სხვა მოწინავე მეთოდების ფართოდ დანერგვას.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ბოლო უნდა მოუღონ სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის ელემენტებს, გაუმჯობესონ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება, ფართოდ გაავრცელონ წარმოების ნოვატორთა წამოწყებანი, ხელი შეუწყონ უბნებისა და საამქროების გადასვლას კოლექტიურ სტანდარტებზე.

ყრილობა ავალებს პროფკავშირულ ორგანიზაციებს ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ სამეურნეო ორგანოებს ბრიგადების, საამქროებისა და საწარმოების ზუსტ, გრაფიკით მუშაობის უზრუნველყოფას, ისე რომ არ იყოს ნახტომები და ეერიმბანაა, უფრო ღრმად ჩასწვდნენ თვითეული საწარმოს, საამქროს, უბნის მუშაობას, მიაღწიონ იმას, რომ ჩამორჩენილი საწარმოები აიყვანონ მოწინავეთა დონემდე.

პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანაა უზრუნველყონ საწარმოთა ტექნიკურ-საწარმო-საფინანსო გეგმების შემუშავებაში მუშების, ოსტატების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების მასობრივი მონაწილეობა და ყოველდღიური საზოგადებრივი კონტროლი დაიწყოს მათი შესრულებისადმი.

ყრილობა გმობს ზოგიერთ საწარმოში არსებულ პრაქტიკას, როცა გადაჭარბებით სრულდება საერთო პროდუქციის გეგმა მეორეხარისხოვან ნაკეთობათა ხარჯზე და არ სრულდება დაწესებული ხარისხისა და ასორტიმენტის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სახეების პროდუქციის გეგმა, და ავალებს პროფკავშირულ ორგანიზაციებს გადაჭრით ებრძოლონ ამ ანტისახელმწიფოებრივ პრაქტიკას.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ყოველნაირად უნდა შეუწყონ ხელი საწარმოებთან სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების კავშირის განმტკიცებას იმ მიზნით, რომ უფრო ფართოდ იქნას გამოყენებული მეცნიერული მიღწევები წარმოების გაუმჯობესებისათვის და მოწინავეთა—მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის ნოვატორთა ძვირფასი პრაქტიკული გამოცდილება—მეცნიერების გამდიდრებისათვის.

ყრილობა წინადადებას აძლევს პროფკავშირულ ორგანიზაციებს ბრძოლა გაიმართოს ბრძოლა ყველა ეტაპზე ბრიგადებში, ბრიგადებიდან საამქროებამდე, საამქროებიდან საწარმოებამდე, ეს ერთიანობა თავიანთი სასიცოცხლო ინტერესებისათვის, მთელ მსოფლიოში მტაცებელ მონოპოლისტურ ბურჟუაზიასა და ბიუროკრატიულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების, მათი კულტურული დონის ამაღლებისა, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის დარგში. საქმე ის არის, რომ ფართოდ განვუმარტოთ X ყრილობის გადაწყვეტილებანი მუშა-მოსამსახურეთა მასებს, პროფკავშირის ყველა წევრს, მტკიცედ მოვკიდოთ ხელი მათს განხორციელებას.

პროფკავშირთა ამოცანები შრომის დაცვის და უშიშროების ტექნიკის დარგში

სტალინური ხუთწლედების წლებში შრომის პირობები მრეწველობაში, ტრანსპორტსა და მშენებლობაზე ძირფესვიანად გაუმჯობესდა. საწარმოო ტრავმატიზმი ამ წლებში ერთისაკად შემცირდა, ხოლო მთელ რიგ დარგებში — მაქსიმალურ მშენებლობაში, შავ მეტალურგიაში, ქიმიურ მრეწველობაში ერთიოთხად.

პროფკავშირები დიდ მუშაობას ეწევიან მუშა-მოსამსახურეთა შრომის დაცვის გაუმჯობესებისა და შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის დარგში.

ყრილობას საჭიროდ მიაჩნია, რომ პროფკავშირულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა უზრუნველყონ წარმოებაში შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესება, მძიმე და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დაჩქარება, უბედურ შემთხვევათა და პროფესიულ დაავადებათა გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა სასტიკად უნდა დაგვნონ თვალყური იმას, რომ საწარმოთა მშენებლობის, აღდგენის ან რეკონსტრუქციის, საწარმოო პროცესების რაციონალიზაციის და ახალი ტექნოლოგიის დანერგვის დროს უზრუნველყოფილი იყოს უშიშროების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის ყველა მოთხოვნის შესრულება.

ყრილობა პროფკავშირული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს გაალიერონ კონტროლი იმისადმი, რომ მუშები დროულად და შეუფერხებლად მარაგდებოდნენ მაღალი ხარისხის სპეცტანსაცმლითა და სპეციფსსაცმლით დაუფასებელი ნორმების მიხედვით.

შრომის დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ამოცანაა დაიქარონ ისეთი ლონისძიებათა შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის პირობების შემდგომ გაჯანსაღებას, განსაკუთრებით სამთო და ქიმიურ მრეწველობაში, შავ, ფერად მეტალურგიასა და მანქანათმშენებლობაში, და მიაღწიონ ამ ლონისძიებათა პრაქტიკულად განხორციელებას.

ყრილობა სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს წინაშე აყენებს საკითხს, რომ საჭიროა უმაღლეს სასწავლებლებში გაუმჯობესდეს უშიშროების ტექნიკის დისციპლინების სწავლება და გაფართოვდეს სახელმწიფო ტექნიკური ინსპექტორების მომზადება.

შრომის დაცვის, უშიშროების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის მასობრივი პროპაგანდის მიზნით სამეურნეო და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უფრო ფართოდ უნდა გამოიყენონ საფაბრიკო-საქარხნო პრესა, რადიო და კინო, სისტემატურად მოაწყონ ლექციები და კონსულტაციები. სამინისტროებმა უნდა გამოსცენ მეტი ლიტერატურა, პროპაგანდა და სასწავლო ნელსაწყოები უშიშროების ტექნიკის დარგში.

პროფკავშირული ორგანიზაციებმა ვალდებული არიან განუხრელად ადევნონ თვალყური იმას, რომ სამეურნეო ორგანოები იცავდნენ საბჭოთა შრომის კანონმდებლობას და, კერძოდ, ქალთა და ახალგაზრდობის შრომის დაცვის კანონებს.

პროფკავშირთა ამოცანები მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების დარგში

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუღალავად ზრუნავენ მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური მდგომარეობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო. მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობათა მეოხებით, სსრ კავშირში ომის დამთავრების შემდეგ მალევე გატარდა ფულის რეფორმა, გაუქმდა საბარათო სისტემა, სისტემატურად მცირდება მასობრივი მოხმარების საქონლის ფასები. ამის შედეგად, აგრეთვე ფულადი ხელფასის ზრდასთან დაკავშირებით მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი 1948 წელს წინა წლთან შედარებით საშუალოდ ერთიოთად და უფრო მეტად გადიდდა. სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირება, რაც 1949 წლის 1 მარტიდან განხორციელდა, წარმოადგენს საბჭოთა ხალხისათვის, მისი საარსებო საქონლის ფასებისა. ამის შედეგად, ბიუჯეტი ფულადი ხელფასის ზრდასთან დაკავშირებით მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი 1948 წელს წინა წლთან შედარებით საშუალოდ ერთიოთად და უფრო მეტად გადიდდა. სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირება, რაც 1949 წლის 1 მარტიდან განხორციელდა, წარმოადგენს საბჭოთა ხალხისათვის, მისი საარ-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

სსრ კავშირის პროფკავშირთა X ყრილობის დადგენილება

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენების გამო

(გაგრძელება)

სებო დონის ამაღლებისათვის მუდმივი სტალინური მზრუნველობის ახალ მკაფიო გამოხატულებას.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობა უზრუნველყოფს მოხმარების საგნების წარმოების შემდგომ გაფართოებას და საცალო საქონელბრუნვის მოცულობის მნიშვნელოვან გადიდებას. ყოველმხრივ ფართოვდება სავაჭრო ქსელი, განუწყვეტლივ მატულობს საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რიცხვი.

პროფკავშირული ორგანიზაციები ახორციელებენ მუდმივ საზოგადოებრივ კონტროლს მაღაზიებისა და სასადილოების მუშაობისადმი, აღწევენ მუშათა მომარაგების გაუმჯობესებას. მაგრამ სასადილოებისა და ბუფეტების მუშაობა ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მათთვის წაყენებულ მოთხოვნებს.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრო, სამინისტროების მუშათა მომარაგების მთავარი სამმართველოები და ცენტროსოიუზი ვალდებული არიან გააუმჯობესონ სავაჭრო ქსელის მუშაობის ორგანიზაცია, იზრუნონ საქონლის ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მომხმარებელთა კულტურული მომსახურებისათვის, უზრუნველყონ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკთა სისტემატური მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

ყრილობას მიაჩნია, რომ სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ, ცენტროსოიუზმა და სამინისტროების მუშათა მომარაგების მთავარმა სამმართველოებმა უნდა გააუმჯობესონ საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობა, უზრუნველყონ სასადილოებში კერძების ხარისხის გაუმჯობესება და ასორტიმენტის გაფართოება, გაადიდონ დიეტურ და საბავშვო სასადილოთა ქსელი. საჭიროა აგრეთვე მიღებულ იქნას ზომები კვების ღირებულების გაიაფებისათვის; შემცირდეს ზედნადები ხარჯები და ნედლეულის დანამატი ფასები სასადილოებში; სწორად გამოყენებულ იქნას საწარმოების დამხმარე მეურნეობათა ზეგეგმითი მოგების ანარიცხები.

ყრილობა წინადადებას აძლევს პროფკავშირულ ორგანიზაციებს გააძლიერონ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობისადმი საზოგადოებრივი კონტროლის ქმედითობა.

სახელმწიფო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირებმა, აგრეთვე იმ პროფორგანიზაციებმა, რომლებიც მომსახურებას უწევენ მუშათა მომარაგების განყოფილებათა მუშა-მოსამსახურეებს, უნდა ჩაუნერგონ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკებს თავიანთი მუშაობისათვის, მომხმარებელთა მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის, სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა.

აღნიშნავს რა დიდ მუშაობას, რასაც პროფკავშირები ეწევიან მუშა-მოსამსახურეთა ინდივიდუალური და კოლექტიური მებოსტნეობის, მეცხოველეობისა და მებაღეობის განვითარების დარგში, ყრილობა წინადადებას აძლევს პროფკავშირულ ორგანიზაციებს კვლავაც გაუწიონ მუშა-მოსამსახურეებს ყოველმხრივი დახმარება ამ საქმეში.

პროფკავშირები ახორციელებენ საზოგადოებრივ კონტროლს საბინაო მშენებლობისადმი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში უდიდესი მასშტაბით წარმოებს. მარტო ომისშემდგომი სამი წლის განმავლობაში საექსპლოატაციოდ გადაეცა 51 მილიონამდე კვადრატული მეტრი საბინაო ფართობი. სახელმწიფო ყოველნაირად უწყობს ხელს მუშა-მოსამსახურეთა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განვითარებას.

მაგრამ მთელი რიგი სამინისტროები და უწყებანი არ ასრულებენ საბინაო მშენებლობის მათთვის დაწესებულ გეგმებს. ყრილობა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საჭიროა უზრუნველყონ საბინაო მშენებლობის გეგმების განუხრელად შესრულება, განახორციელონ ნაკადურ-ჩქაროსნული მეთოდით სახლების მასობრივი მშენებლობა, განახორციელონ სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაცია, განავითარონ ადგილობრივი საშენი მასალების წარმოება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საცხოვრებელი სახლებისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებას.

მოკავშირე რესპუბლიკათა კომუნალური მეურნეობის სამინისტროებმა და სამრეწველო სამინისტროებმა უნდა გაადიდონ საცხოვრებელი სახლების რემონტის მოცულობა და გააუმჯობესონ მისი ხარისხი, გააფართოონ კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოთა და ქალაქის ტრანსპორტის ქსელი და გააუმჯობესონ მისი მუშაობა.

ყრილობა წინადადებას აძლევს ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას უფრო ფართოდ ჩააბან აქტივი საცხოვრებელი ბინების მშენებლობისა და რემონტისადმი, მუშა-მოსამსახურეთა და მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო მომსახურებისადმი კონტროლის საქმეში. საჭიროა, კერძოდ, გაძლიერდეს კონტროლი იმისადმი, რომ სამეურნეო ორგანოებმა შეასრულონ მთავრობის მითითება მიზნობრივი დანიშნულებით საშენი მასალების, მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მუშახელის იმ რაოდენობით გამოყოფის შესახებ, რომ ამან უზრუნველყოს საცხოვრებელი ბინების მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის გეგმების შესრულება.

პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციები ვალდებული არიან დაეხმარონ იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებს აშენებენ, მიწის ნაკვეთებისა და ფულადი სესხების მიღებაში, ასაწყობი სახლებისა და საშენი მასალების ნაღდ ანგარიშზე შეძენაში.

პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების მოვალეობაა გულისხმიერად და ყურადღებით მოეკიდონ მუშა-მოსამსახურეთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს, გადაჭრით ებრძოლონ მუშა-მოსამსახურეთა საჩივრებისადმი სამეურნეო და სხვა ორგანოების ცალკეულ მუშაკთა უყურადღებო, უხეშ ან უგულებელმყოფელ დამოკიდებულებას.

პროფკავშირთა ამოცანები სახელმწიფო სოციალური დაზღვევის დარგში

სახელმწიფო სოციალური დაზღვევის მრავალმილიარდიანი ბიუჯეტი მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების მძლავრ ბერკეტს წარმოადგენს. საფაბრიკო, საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების სოციალური დაზღვევის საბჭოები სახელმწიფო სოციალური დაზღვევის მუშაობაში პრაქტიკული მონაწილეობისათვის იზიდავენ მუშა-მოსამსახურეთა ფართო მასებს.

მშრომელთა საარსებო დონის განუწყვეტელი ამაღლებისა და ფართო სამკურნალო-პროფილაქტიკურ და გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა შედეგად, რომლებსაც ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები და პროფკავშირები ახორციელებენ, მუშა-მოსამსახურეთა დაავადება წლითიწლობით კლებულობს.

ამავე დროს ყრილობა პროფკავშირული ორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევს არსებით ნაკლოვანებებს სოციალური დაზღვევის დარგში მუშაობის მხრივ. დღემდე არის ისეთი ფაქტები, რომ საბიუჯეტო-საფინანსო დისციპლინა ირღვევა და სოციალური დაზღვევის სახსრები არადანიშნულებისამებრ იხარჯება. ბევრი პროფკავშირული ორგანიზაცია არ ახორციელებს ყოველდღიურ კონტროლს სამკურნალო-პროფილაქტიკურ და საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის გეგმის შესრულებისა და მუშა-მოსამსახურეთა სამედიცინო მომსახურების ხარისხისადმი.

ყრილობა წინადადებას აძლევს პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს და პროფკავშირების კომიტეტებს გააუმჯობესონ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის დარგში მუშაობა, უზრუნველყონ სახელმწიფო სახსრების სწორად გამოყენება მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო დონის შემდგომი ამაღლების მიზნით.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ სოციალური დაზღვევის საბჭოების მუშაობისადმი ხელმძღვანელობა, უფრო ფართოდ ჩააბან მუშა-მოსამსახურეთა მასები საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, ჯანმრთელობის დაცვის პუნქტების, საბავშვო ბაგების, საბავშვო ბაღების, ღამის პროფილაქტორიუმების, სამკურნალო კვების სასადილოების მუშაობისადმი, საავადმყოფო ფურცლების გაცემისა და განაღდების სისწორისადმი კონტროლის საქმეში.

ყრილობა ავალებს პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს და პროფესიული კავშირების ცენტრალურ კომიტეტებს მიიღონ ზომები სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრების ხარჯვაში საფინანსო დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის, არ დაუშვან ამ სახსრების არადანიშნულებისამებრ გამოყენება, გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ გადამეტებით ხარჯვასთან, სასტიკ პასუხისგებაში მისცენ კანონის დამრღვევნი.

მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის გაძლიერებისა და დაავადების და ტრავმატიზმის შემდგომი შემცირების მიზნით ყრილობას საჭიროდ მიაჩნია, რომ უმნიშვნელოვანესი გამაჯანსაღებელი და სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებანი შეტანილ იქნას კოლექტიურ ხელშეკრულებებში.

ყრილობა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საჭიროა მიღებულ იქნას ზომები მუშა-მოსამსახურეთა სამედიცინო მომსახურების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და სამრეწველო სამინისტროებმა განუხრელად უნდა შეასრულონ სამკურნალო-პროფილაქტიკურ და საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის გეგმები მთავრობის მიერ დადგენილ ვადებში. პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტები და ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციები ვალდებული არიან ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს მათს მუშაობაში მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გასაუმჯობესებლად.

ყრილობა წინადადებას აძლევს პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს, პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტებს და ყველა სამინისტროს გააძლიერონ ყურადღება სამამულო ომის ინვალიდთა და შრომის ინვალიდთა მომსახურებისა და შრომითი მოწყობის საკითხებისადმი.

მუშა-მოსამსახურეთა შვილების ჯანმრთელობის განმტკიცებისა და აღზრდის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვთ პიონერთა ბანაკებს. 1948 წელს პიონერთა ბანაკებში გაიგზავნა ოთხ მილიონზე მეტი მოსწავლე. პროფკავშირულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ზომები პიონერთა ბანაკების შემდგომი გაფართოებისა და კეთილმოწყობისათვის. კერძოდ, საჭიროა მნიშვნელოვნად გაფართოვდეს საკავშირთაშორისო პიონერთა ბანაკების ქსელი და გაჩაღდეს სტაციონარული ბანაკების მშენებლობა.

ყრილობა ავალებს პროფკავშირულ ორგანიზაციებს მიიღონ ზომები საბავშვო ბაღებისა და საბავშვო ბაგების რიცხვის შემდგომი გადიდებისათვის, უზრუნველყონ ყოველდღიური კონტროლი მათი საქმიანობისადმი და გაუწიონ მშობლებს დახმარება ბავშვების აღზრდასა და მათი ჯანმრთელობის განმტკიცებაში.

სსრ კავშირის მშრომელები სარგებლობენ სანატორიუმების, კურორტებისა და დასასვენებელი სახლების ფართო ქსელით. 1948 წელს პროფკავშირთა ჯანმრთელობის კერებში ორ მილიონამდე მუშა-მოსამსახურე მკურნალობდა და ისვენებდა.

ამასთან ერთად ყრილობა აღნიშნავს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში სამეურნეო და პროფკავშირული ორგანოები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების გაფართოებას. ჯანმრთელობის ზოგიერთ კერაში ავადმყოფთა და დამსვენებელთა მკურნალობა და მომსახურება ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული.

ყრილობა ავალებს პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან და სხვა სამინისტროებთან ერთად მიიღოს ზომები სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მშენებლობის შემდგომი გაფართოებისათვის მრეწველობის განლაგების გათვალისწინებით, რისთვისაც ფართოდ გამოიყენოს ადგილობრივი საკურორტო სიმდიდრენი და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სანატორიუმთა ქსელის გაფართოებას ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში. საჭიროა აგრეთვე მეტი ზრუნვა საბავშვო სანატორიუმებისა და ორსულ ქალთა სანატორიუმების ქსელის გაფართოებისათვის.

მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახების წევრთა დასვენების უკეთესი ორგანიზაციის მიზნით ყრილობა წინადადებას აძლევს პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს და პროფესიული კავშირების ცენტრალურ კომიტეტებს გაშალონ საწარმოთა ახლოს ერთდღიანი დასასვენებელი სახლების ქსელი.

პროფესიული კავშირების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მუშა-მოსამსახურეთა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისა და დასვენების ორგანიზაციის დარგში ყრილობას მიაჩნია ავადმყოფთა და დამსვენებელთა მკურნალობისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, კურორტების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების კეთილმოწყობა, მათი დამხმარე მეურნეობების განვითარება.

პროფკავშირთა ამოცანები მშრომელთა კულტურული დონის ამაღლების დარგში

ახორციელებენ რა იდეოლოგიურ საკითხებზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, პროფესიულმა კავშირებმა და მათმა კულტურულმა დაწესებულებებმა გააძლიერეს მუშაობა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის დარგში, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრის დარგში. პროფკავშირთა კულტურულ-მასობრივი მუშაობა ფართოდ განვითარდა.

პროფესიულმა კავშირებმა ომისშემდგომ წლებში აღადგინეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მიერ დანგრეულ კულტურულ დაწესებულებათა მნიშვნელოვანი ნაწილი. 1944 წელს პროფკავშირებს ჰქონდათ 3.370 კლუბი, ამჟამად კი ითვლება დაახლოებით 8 ათასი კლუბი, კულტურის სახლი და სასახლე. პროფკავშირებს აქვთ 70 ათასამდე წითელი კუთხე და 5 ათასზე მეტი კინოდანადგარი. მილიონობით მუშა და მოსამსახურე მეცადინეობს სხვადასხვა წრეში, მონაწილეობს მხატვრულ თვითმოქმედებაში.

ამასთან ერთად ყრილობას მიაჩნია, რომ პროფკავშირთა კულტურულ-მასობრივი მუშაობა ჯერ კიდევ მთლიანად ვერ აკმაყოფილებს მუშათა და ინტელიგენციის სხვადასხვა ფენების განუწყვეტლივ მზარდ მოთხოვნილებებს.

პროფესიულმა კავშირებმა უფრო აქტიურად უნდა იბრძოლონ საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, ყრილობისა, რომელმაც აღნიშნა, რომ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პერიოდში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას. პროფკავშირული ორგანიზაციების მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა უნდა დაუქვემდებარდეს საბჭოთა პატრიოტიზმის, საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის სულისკვეთებით, სოციალისტური სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის საქმეს.

საჭიროა გავაძლიეროთ ინტელიგენციის იდეური აღზრდა, შეურიგებელი ბრძოლა ვაწარმოოთ მტრული იდეოლოგიის წინააღმდეგ, რეაქციული ბურჟუაზიული კულტურის წინაშე მონური ქედის მოხრის გამოვლინებათა წინააღმდეგ.

პროფკავშირთა ამოცანაა აღზარდონ მშრომელები შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, ფართოდ გაავრცელონ მასებში მეცნიერული და ტექნიკური ცოდნა, ხელი შეუწყონ საინჟინრო-ტექნიკური შრომის მუშაკთა დონემდე მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების ისტორიული ამოცანის გადაწყვეტას; გააჩაღონ მოწინავე საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებთა პროპაგანდა; ყოველმხრივ განავითარონ მუშა-მოსამსახურეთა, მოსწავლე ახალგაზრდობის, ბავშვების მხატვრული თვითმოქმედება; გააუმჯობესონ კულტურის სასახლეების, სახლებისა და კლუბების მუშაობა, გააძლიერონ მათი მეთოდური ხელმძღვანელობა.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ, პროფკავშირთა საბჭოებმა და მტს-ებისა და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშა-მოსამსახურეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა პროფკავშირების ცენტრალურმა კომიტეტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში კულტურულ დაწესებულებათა ქსელის განვითარებას და მიიღონ ზომები სოფლის მეურნეობის მუშებსა და სპეციალისტებს შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის გასაძლიერებლად.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ უახლოეს წლებში ყველა დიდ საწარმოში შეიქმნას კლუბები და ბიბლიოთეკები, ხოლო დანარჩენ საწარმოებში — წითელი კუთხეები და მოძრავი ბიბლიოთეკები.

ყრილობა ავალებს პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს კინემატოგრაფიის სამინისტროსთან ერთად მიიღოს გადამწყვეტი ზომები პროფკავშირულ კულტურულ დაწესებულებათა ქსელში მშრომელთა კინომომსახურების გასაუმჯობესებლად.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ სათანადო სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად უნდა მიიღოს ზომები მუშა ახალგაზრდობის სკოლების, აგრეთვე ტექნიკური სწავლების კურსებისა და სკოლების ქსელის გასაფართოებლად. 1949-1950 წლებში ყოველ დიდ საწარმოში უნდა იყოს მუშა ახალგაზრდობის სკოლა. უნდა ვეცადოთ მივაღწიოთ იმას, რომ ყოველმა ახალგაზრდა მუშამ მიიღოს საშუალო ან სპეციალური განათლება.

ყრილობა წინადადებას აძლევს პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს, პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებს უმაღლესი განათლების სამინისტროსთან და სხვა უწყებებთან ერთად მიიღონ ზომები უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მოსწავლეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ყრილობა მოუწოდებს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს შექმნან უფრო მეტი მაღალმხატვრული ნაწარმოებნი, რომლებშიც სასახელოდ იქნება ნაჩვენები ჩვენი დიადი სტალინური ეპოქა და საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა, ნაწარმოებნი, რომლებიც მშრომელებს ჩაუნერგავენ საბჭოთა პატრიოტიზმის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების გრძნობას.

ყრილობას გაზეთ „ტრუდის“, ჟურნალების „პროფესიონალნიე სოიუზი“ და „ვ პომოშჩ ფზმკ“ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია მათი როლის გაძლიერება მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ განვითარებაში და წინადადებას აძლევს რედაქციებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მკითხველთა ფართო მასებთან კავშირის განმტკიცებას, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებათა ბოლშევიკური კრიტიკის გაშლას, პროფკავშირთა მუშაობის გამოცდილების გაშუქებას.

პროფესიული ლიტერატურის გამომცემლობამ უფრო მეტი რაოდენობით უნდა გამოსცეს ლიტერატურა, რომელიც ამაღლებს მასების პოლიტიკურ და კულტურულ დონეს, ეწევა საბჭოთა ადამიანების გმირული შრომის პოპულარიზაციას, ავრცელებს ნოვატორთა, სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა გამოცდილებას. საჭიროა მეტი რაოდენობით გამოიცეს ლიტერატურა, რომელიც განაზოგადებს პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებას, ხელს შეუწყობს პროფკავშირული კადრებისა და აქტივის იდეურ ზრდასა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებას, აგრეთვე საცნობარო ლიტერატურა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს გამოსაცემი წიგნებისა და ბროშურების ხარისხის გაუმჯობესებას.

პროფკავშირებმა გარკვეული მუშაობა შეასრულეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების დარგში, ამ მიზნისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის დარგში. მილიონობით მუშებმა და მოსამსახურეებმა, რომლებიც ფიზკულტურის კოლექტივებში მეცადინეობენ, ჩააბარეს ნორმები „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისათვის“ კომპლექსის მიხედვით.

ამასთანავე ყრილობა აღნიშნავს, რომ პროფკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად ხელმძღვანელობენ სასპორტო საზოგადოებებსა და ფიზკულტურულ კოლექტივებს. ბევრ საწარმოში ასეთი კოლექტივები შექმნილი არ არის, ხოლო არსებულ კოლექტივებში ფიზკულტურელთა მცირე რიცხვია ჩაბმული. მთელ რიგ ნებაყოფლობითს სასპორტო საზოგადოებებში სასწავლო-სასპორტო და აღმზრდელობითი მუშაობა არადამაკმაყოფილებლად წარმოებს.

პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტები, საბჭოები და ყველა პროფკავშირული ორგანიზაციები ვალდებული არიან მიიღონ ზომები ფიზიკური კულტურისა და სპორტის კიდევ უფრო მასობრივი განვითარებისათვის, შექმნან ფიზკულტურული კოლექტივები ყოველ საწარმოში, ყოველ მტს-ში, საბჭოთა მეურნეობაში, უმაღლეს სასწავლებელსა და ტექნიკუმში და ჩააბან ამ კოლექტივებში მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მოსამსახურეთა, მოსწავლეთა ფართო ფენები; გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა სასპორტო საზოგადოებებისა და ფიზკულტურული კოლექტივებისადმი.

საჭიროა ავამაღლოთ სასწავლო-სასპორტო და აღმზრდელობითი მუშაობის დონე ფიზკულტურულ კოლექტივებში, ვეცადოთ მივაღწიოთ იმას, რომ თვითეული ფიზკულტურელი „მშთ“ ნიშნოსანი გახდეს, ხოლო ფიზკულტურელთა ძირითადმა მასამ სასპორტო განვითარების მაღალ დონეს მიაღწიოს; უზრუნველვყოთ სასპორტო მიღწევათა განუხრელი ამაღლება და ამის საფუძველზე საბჭოთა სპორტსმენების მიერ მსოფლიო პირველობის მოპოვება სპორტის მნიშვნელოვან სახეებში.

ყრილობა წინადადებას აძლევს პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანიზაციებს უზრუნველყონ არსებულ სასპორტო ნაგებობათა აღდგენა და ახალთა მშენებლობა, აგრეთვე საწარმოებთან, სასწავლებლებთან, მტს-ებთან და საბჭოთა მეურნეობებთან უმარტივესი სასპორტო მოედნების ქსელის განვითარება.

პროფკავშირთა ამოცანები საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის დარგში

ბოლშევიკური პარტიის, ამხანაგ სტალინის შეუნელებელი ყურადღების მეოხებით პროფესიული კავშირები საანგარიშო პერიოდში პოლიტიკურად და ორგანიზაციულად განმტკიცდნენ, გაიზარდნენ, განამტკიცეს მასებთან კავშირი. გაიზარდა პროფკავშირთა როლი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში. პროფკავშირების წევრთა რიცხვი თითქმის ერთიორად გადიდდა. საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა პროფკავშირული აქტივი.

პროფესიული კავშირების განმტკიცება და მათი მუშაობის აღმავლობა წარმოებდა პროფკავშირული დემოკრატიისა და მუშა-მოსამსახურეთა თვითმოქმედების განვითარების საფუძველზე. პროფკავშირული ორგანოების ანგარიშგება და არჩევნები 1948-1949 წლებში მაღალიდეურ-პოლიტიკურ დონეზე და ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩატარდა.

ყრილობა იწონებს წარმოების მხრივ ერთგვაროვანი პროფკავშირების ჩატარებულ გაერთიანებას, აგრეთვე პროფკავშირთა საბჭოების შექმნას რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში, როგორც ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია პროფესიული კავშირების შემდგომი ორგანიზაციული განმტკიცებისა და მათი მუშაობის აღმავლობისაკენ.

მაგრამ პროფკავშირთა საორგანიზაციო-მასობრივ მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. მთელ რიგ შემთხვევებში ძირეულ პროფკავშირულ ორგანიზაციებს დახმარება არადამაკმაყოფილებლად ეწევათ. საკმაო ყურადღება არ ექცევა მათთვის ინსტრუქტაჟის გაწევას, მოწინავე პროფორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების განზოგადებასა და გავრცელებას.

ყრილობას უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია პროფკავშირთა შემდგომი ორგანიზაციული განმტკიცება. პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და პროფკავშირთა ცენტრალურმა კომიტეტებმა უნდა გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი. უნდა ვეცადოთ მივაღწიოთ საწარმო-დაწესებულებათა საწარმოო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი, საამქრო კომიტეტებისა და პროფჯგუფების როლის ამაღლებას.

ყრილობა ავალებს პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს, პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებსა და პროფკავშირთა საბჭოებს, გააძლიერონ კონტროლი იმისადმი, თუ როგორ ასრულებენ პროფკავშირული ორგანიზაციები მიღებულ გადაწყვეტილებებს.

პროფკავშირული დემოკრატიის შემდგომი განვითარების მიზნით ყრილობა ავალებს პროფკავშირთა ხელმძღვანელ ორგანოებს რეგულარულად მოაწყონ ანგარიშგება და არჩევნები წესდებათა დადგენილი ვადების ზუსტი შესაბამისობით, უზრუნველყონ პროფკავშირული მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკის ფართოდ გაშლა. საჭიროა გაუმჯობესდეს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებების მომზადება და ჩატარება, რეგულარულად იქნან კრებები მოწვეული, მათ განსახილველად დაისვას პოლიტიკური, საწარმოო და პროფკავშირული ცხოვრების საჭირბოროტო საკითხები, მუდმივი კონტროლი გაეწიოს კრებების მიერ მიღებულ დადგენილებათა განხორციელებას.

პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტები თავიანთ მუშაობაში უფრო მეტად უნდა ემყარებოდნენ პროფკავშირულ ჯგუფებსა და აქტივს, საზოგადოებრივ დავალებათა შესრულებაში ფართოდ აბამდნენ მუშებსა და მოსამსახურეებს. საჭიროა ამაღლდეს საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი და საამქრო კომიტეტების კომისიათა მუშაობის დონე.

საანგარიშო პერიოდში პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია პროფკავშირული კადრების შერჩევის, დაწინაურების, განაწილებისა და სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისაკენ. მიუხედავად ამისა, პროფკავშირული კადრების შერჩევასა და მომზადებაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

ყრილობა ყველა პროფკავშირული ორგანოს ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა გააუმჯობესონ ხელმძღვანელი კადრებისა და პროფკავშირული აქტივის მომზადება და გადამზადება, იზრუნონ მათი მარქსისტულ-ლენინური განათლებისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. კერძოდ, მოწყობილ უნდა იქნას პროფკავშირული კადრებისა და პროფკავშირული აქტივის მასობრივი დაუსწრებელი სწავლება.

პროფკავშირული ორგანოების ამოცანაა კადრების შერჩევისა და განაწილების სტალინური პრინციპების ზუსტად დაცვა, მათი აღზრდა ბოლშევიკური პრინციპულობისა და მუშაობაში ნაკლოვანებათა შეურიგებლობის სულისკვეთებით. საჭიროა უფრო ღრმად და ყოველმხრივ შევისწავლოთ მუშაკთა პოლიტიკური და საქმიანი თვისებანი, უფრო გაბედულად დავაწინაუროთ პროფკავშირებში ხელმძღვანელ პოსტებზე ახალი აქტივი წარმოების მოწინავეთაგან, ინტელიგენციიდან და განსაკუთრებით ქალებიდან და ახალგაზრდობიდან.

ამოცანები პროფკავშირთა საფინანსო მუშაობის დარგში

საანგარიშო პერიოდში პროფესიული კავშირების ბიუჯეტი ერთისამად გაიზარდა. პროფესიული კავშირები ყოველწლიურად ადიდებენ ასიგნობებს პროფკავშირთა წევრების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და მათთვის მატერიალური დახმარების გასაწევად.

ამასთან ერთად პროფკავშირთა ჯერ კიდევ ბევრი კომიტეტი საკმაო ყურადღებას არ უთმობს პროფორგანიზაციების, კულტურული და ფიზკულტურული დაწესებულებების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას.

პროფკავშირული ბიუჯეტი ხელს უნდა უწყობდეს პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას მუშა-მოსამსახურეთა მზარდი კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დარგში, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების, აგრეთვე პროფკავშირთა წევრების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში.

საჭიროა კვლავაც გადიდდეს პროფკავშირთა წევრების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის განკუთვნილი ხარჯები, შემცირდეს ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების ხვედრითი წონა.

ყრილობა ავალებს ყველა პროფკავშირულ ორგანოს მიიღოს ზომები საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულებას. პროფკავშირული ორგანოები უნდა იცავდნენ მომჭირნეობის უმკაცრეს რეჟიმს სახსრების ხარჯვაში, ცდილობდნენ მიაღწიონ საფინანსო დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას. ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციაში დაწესებულ უნდა იქნას სასტიკი პასუხისმგებლობა სახარჯთაღრიცხვო, საფინანსო და საშტატო დისციპლინის დარღვევისათვის.

ყრილობა წინადადებას აძლევს პროფკავშირულ ორგანოებს უზრუნველყონ რეგულარული საფინანსო

(დასასრული მე-3 გვერდზე)

სსრ კავშირის პროფკავშირთა X ყრილობის დადგენილების დასასრული

ანგარიშგება და საფინანსო ანგარიშების სავალდებულო გამოქვეყნება.

პროფკავშირული ორგანიზაციების სარევიზიო კომისიებმა უნდა გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა, რეგულარულად ჩაატარონ რევიზიები, გააუმჯობესონ მათი ხარისხი და უზრუნველყონ მათი შედეგების ფართო საჯაროობა.

პროფკავშირულმა ორგანოებმა ყოველმხრივი დახმარება უნდა გაუწიონ მუშა-მოსამსახურეთა ურთიერთდამხმარე სალაროების მუშაობას.

ამოცანები პროფკავშირთა საერთაშორისო მუშაობის დარგში

პროფესიულ კავშირთა X ყრილობა აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის პროფკავშირები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო პროფკავშირულ მოძრაობაში, მათ მეგობრული ურთიერთობა დაამყარეს უცხო ქვეყნების პროფკავშირებთან, რომლებიც მუშათა კლასის მსოფლიო ერთიანობისათვის იბრძვიან. ეს ერთიანობა არის უმნიშვნელოვანესი პირობა მშრომელთა წარმატებითი ბრძოლისა თავიანთი საარსებო ინტერესებისათვის, მთელ მსოფლიოში მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფისათვის.

ყრილობა იწონებს პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს საერთაშორისო საქმიანობას, მიმართულს უცხო ქვეყნების პროფკავშირებთან საბჭოთა პროფკავშირების ურთიერთობის გაფართოებისა და განმტკიცებისაკენ, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის განმტკიცებისაკენ, მიმართულს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამთიშველთა წინააღმდეგ.

ყრილობა მთლიანად უჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკას — ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის სტალინურ პოლიტიკას, რომელიც მთელი მსოფლიოს მშრომელთა საარსებო ინტერესებსა და მისწრაფებებს გამოხატავს.

ყრილობა მხურვალე მადლობას უძღვნის სსრ კავშირის მთავრობას პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეტანილ იმ წინადადებათა თანმიმდევრული და აქტიური მხარდაჭერისათვის, რომლებიც მიმართულია მთელი მსოფლიოს მუშათა ინტერესების დასაცავად.

ყრილობა ავალებს პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს კვლავაც ყოველმხრივ გააფართოოს უცხო ქვეყნების პროფკავშირებთან მეგობრული ურთიერთობა, განამტკიცოს მუშათა საერთაშორისო ერთიანობა, იყოს მსოფლიო მუშათა მოძრაობის პირველ რიგებში მტკიცე მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში.

* * *

პროფესიულ კავშირთა X ყრილობა პროფკავშირებში დარაზმულ მუშა-მოსამსახურეთა მრავალმილიონიანი მასების სახელით სიტყვას აძლევს ბოლშევიკების პარტიას, საბჭოთა ხალხის დიდ ბელადსა და მასწავლებელს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს, რომ საბჭოთა პროფკავშირები იყვნენ, არიან და იქნებიან ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკის ერთგული და აქტიური გამტარებლები, კვლავაც დაუღალავად იბრძოლებენ კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

მარგანეცის ქალაქის რაციონალიზატორები

ჭიათურა. (საქ. კორ.). მიმდინარე წლის განვლილ თვეებში ჭიათურელმა რაციონალიზატორებმა ბევრი საუცხოო წინადადება შემოიტანეს. ამ წინადადებათა რეალიზაცია სამშობლოს 3.800 ათას მანეთზე მეტ ეკონომიას მისცემს.

ყურადღებას იპყრობს ინჟინერ ქ. ჯინჭველაშვილის წინადადება, რომელიც მარგანეცის გამამდიდრებელ ფაბრიკებში ტექნოლოგიურ პროცესს აუმჯობესებს. ამ წინადადების გატარებით მცირდება მარგანეცის დანაკარგი, იზრდება პირველი ხარისხის მადნის დამზადება. ამ ღონისძიებით მიღებული წლიური ეკონომია 2.741.400 მანეთს შეადგენს.

საუკეთესო დანადგარი დაამზადა ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს მექანიკოსმა შ. ბუხრაშვილმა. მან შექმნა გაუმჯობესებული კონსტრუქციის ჯალამბარი, რომლითაც მაღაროდან გამოაქვთ ისეთი ბიგები, რომლებიც წინათ უნაყოფოდ იკარგებოდა. ახლა ამ ბიგებს ან ისევ გამაგრებისათვის იყენებენ ან მასალად, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში საწვავად. წლიურად ეს იძლევა 924.000 მანეთის ეკონომიას.

ელექტროენერგიის რაციონალურად გამოყენებას ეხება ინჟინერ-ელექტრიკოს ს. მახათაძის წინადადება, რომელიც წარმოებაში დაინერგა და წლიურად 161.000 მანეთ ეკონომიას იძლევა.

საქმიანი წინადადებები შემოიტანეს აგრეთვე ქ. ზამთარაძემ, შ. რიჟამაძემ, ვ. გეწაძემ, დ. ჩიხლაძემ და სხვ. ისინი ადიდებენ შრომის ნაყოფიერებას, ამცირებენ პროდუქციის თვითღირებულებას და ქვეყანას მნიშვნელოვან დანაზოგს აძლევენ.

ლენინის ბრძოლა პარტიის თეორიული საფუძვლებისათვის

(ლენინის წიგნის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის" გამოქვეყნების 40 წლისთავის გამო)

ლენინის ნაშრომი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი", რომელიც გამოქვეყნდა 40 წლის წინათ — 1909 წლის გაზაფხულზე, მარქსიზმ-ლენინიზმის უდიდესი ნაწარმოებია. იგი მებრძოლი ბოლშევიკური პარტიულობის, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის მტრების წინააღმდეგ შეურიგებელი იდეური ბრძოლის ნიმუშია. იგი ბოლშევიკური პარტიის თეორიული საფუძვლების დაცვა და შემოქმედებითი მარქსიზმის შემდგომი განვითარებაა.

ლენინმა გენიალურად განაზოგადა ყოველივე ის, რაც მეცნიერების, კერძოდ ბუნებისმეტყველების, განვითარებაში მნიშვნელოვანი და არსებითი იყო მთელი ისტორიული პერიოდის მანძილზე მარქსისა და ენგელსის დროიდან.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ დაიწყო ბურჟუაზიული ინტელიგენციისა და ამ ინტელიგენციის რიგებიდან გამოსულ რევოლუციის თანამგზავრთა იდეური დემორალიზაციის პერიოდი. კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის იდეოლოგები საზიზღრად სწამებდნენ ცილს რევოლუციას, მოითხოვდნენ პირსისხლიან ცარიზმთან შერიგებას და ხალხის აწიოკებას.

კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ეს საზიზღარი პოლიტიკური პროგრამა მოცემული იყო მახისტური იდეალიზმისა და ღვთისმაძიებლობის სახით. რელიგიის ქადაგებამ, მისტიკურ მოძღვრებათა პროპაგანდამ მოიცვა ბურჟუაზიული ინტელიგენციის ფართო წრეები. დაცემულობა და რევოლუციისადმი ურწმენობა შეეხო აგრეთვე პარტიული ინტელიგენტების ერთ ნაწილს, რომელთაც თავი მარქსისტებად მოჰქონდათ, მაგრამ მარქსიზმის პოზიციებზე მტკიცედ არასოდეს მდგარან. მათ შორის იყვნენ ისეთი მწერლები, როგორც ბოგდანოვი, ბაზაროვი, ლუნაჩარსკი (რომელნიც 1905 წელს ბოლშევიკებს ემხრობოდნენ), იუშკევიჩი, ვალენტინოვი (მენშევიკები).

ბურჟუაზიული ლიტერატორები, ეგუებოდნენ რა რეაქციას, ლანძღავდნენ რევოლუციურ იდეალებს, აბიაბრუებდნენ რევოლუციას (სავინკოვი, სოლოგუბი). ამასთან ერთად გაჩნდა პორნოგრაფიული ლიტერატურით (არციბაშევი, ვერბიცკაია) აღვირახსნილი გატაცება, რომელმაც ასახა კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის იდეოლოგთა მორალური დაცემის მთელი სიღრმე. გაჩნდა მთელი ხროვა მოდური მწერლებისა, რომელნიც „აკრიტიკებდნენ" და „აცამტვერებდნენ" მარქსიზმს, გმობდნენ რევოლუციას, დასცინოდნენ მას, ხოტბას ასხამდნენ გამცემლობას, სქესობრივ გარყვნილებას „პიროვნების კულტის" სახით.

ფილოსოფიის დარგში გაძლიერდა მარქსიზმის „კრიტიკის", რევიზიის ცდები, გაჩნდა ყოველგვარი რელიგიური მიმდინარეობანი, რომლებიც დაფარული იყო ვითომდა „მეცნიერული" მოსაზრებებით. მარქსიზმის „კრიტიკა" მოდად გადაიქცა. ყოველივე ეს ერთი მიზნისაკენ იყო მიმართული — ჩამოეშორებინათ მასები რევოლუციისათვის.

რევოლუციურ მარქსიზმსა და მის თეორიულ საფუძვლებს — დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს — მემარჯვენე და „მემარცხენე" ლიკვიდატორები უპირისპირებდნენ მახიზმის იდეალისტურ ფილოსოფიას, რომელსაც ისინი უწოდებდნენ ემპირიოკრიტიციზმს, ე. ი. „კრიტიკული ცდის" ფილოსოფიას. რევოლუციური მარქსიზმის მტრები ქედს იხრიდნენ დასავლეთ ევროპის რეაქციონერი ფილოსოფოსების მახისა და ავენარიუსის წინაშე და ცდილობდნენ ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამხრწნელი გავლენით მოეწამლათ მუშათა კლასის შეგნება. ისინი ამავე დროს ფარისევლურად ამტკიცებდნენ, რომ თითქოს ცდილობდნენ მხოლოდ გაეთავისუფლებინათ მარქსიზმი ზოგიერთი „მოძველებული" ცნებისაგან, „გაეუმჯობესებინათ" მარქსიზმი. ეს ფარისევლური კრიტიკა ნავარაუდევი იყო რიგითი პარტიული მუშაკების მოსატყუებლად.

საჭირო იყო ბრძოლის გამოცხადება ამ გადაგვარებულთათვის, მათთვის ნიღბის ჩამოგლეჯა, მათი ბოლომდე მხილება და ამრიგად მარქსისტული პარტიის თეორიული საფუძვლების დაცვა. ეს ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა ლენინმა თავის წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი". ამ წიგნში ლენინმა არა მარტო დაიცვა მარქსიზმის თეორიული საფუძვლები, არამედ დიდად წასწია წინ მარქსისტული ფილოსოფია, ახალი იდეებით გაამდიდრა იგი.

ლენინის ამ შესანიშნავი ნაშრომის რევოლუციური გავლენა სტოლიპინის რეაქციის პირობებში, იდეოლოგიის ყველა დარგში რელიგიურ და მისტიკურ მოძღვრებათა განვითარების პირობებში მეტად დიდი იყო.

მახისტების რეაქციულ, ანტიმეცნიერულ შეხედულებათა და რელიგიური ბნელეთისმოციქულობის წინააღმდეგ ბრძოლაში ლენინი გამოვიდა როგორც მოწინავე მეცნიერების წარმომადგენელი და დიდი ნოვატორი ფილოსოფიაში. მან ამხილა მახიზმი როგორც რეაქციული ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც დახვეწილ რელიგიას ქადაგებდა.

მენშევიკები და ოტზოვისტები მიჰყვებოდნენ „ღვთისმოსავ" ბურჟუაზიას, „ახალ" რელიგიას — ღვთისმშენებლობას უქადაგებდნენ მუშათა კლასსა და გლეხობას. ისინი ცდილობდნენ რელიგიურ მოძღვრებად გადაექციათ მეცნიერული სოციალიზმი, გამოეცალათ მისთვის რევოლუციური შინაარსი, გადაექციათ იგი უწყინარ ხატად, რომლისთვისაც ხალხს თაყვანი უნდა ეცა და რომლის რწმენაც უნდა ჰქონოდა, ამასთან ხელი აელო არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაზე.

ლენინმა მკვეთრად აღნიშნა, ერთი მხრივ ღვთისმშენებელთა და მეორე მხრივ ცარიზმსა და ბურჟუაზიას შორის არსებული კავშირის რეაქციული არსი. „...თქვენ შეალამაზეთ, დაშაქრეთ, — წერდა იგი, მხედველობაში ჰყავდა რა ღვთისმშენებელნი, — კლერიკალების, პურიშკევიჩების, ნიკოლოზ II-ისა და ბ-ნ სტრუვეების იდეა, ვინაიდან **ნამდვილად** ღვთის იდეა ხელს უწყობს **მათ** მონობაში იყოლიონ ხალხი. ღვთის იდეის შელამაზებით თქვენ შეალამაზეთ ის ბორკილი, რომლითაც მათ შებოჭილი ჰყავთ ჩამორჩენილი მუშები და გლეხები" (ვ. ი. ლენინი. ტ. XVII, გვ. 84).

„პროლეტარის" რედაქციის გაფართოებულმა თათბირმა 1909 წელს აღნიშნა, რომ ღვთისმშენებლობა მეცნიერული სოციალიზმისადმი მტრული რეაქციული მიმდინარეობაა.

ამხანაგმა სტალინმა მტკიცედ დაუჭირა მხარი ლენინის პოზიციას. მის მიერ დაწერილ ბაქოს კომიტეტის რეზოლუციაში „პროლეტარის" გაფართოებულ რედაქციაში არსებული უთანხმოების შესახებ აღნიშნული იყო: „ეგრეთწოდებული „ღვთისმშენებლობა", როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, და საერთოდ, სოციალიზმში რელიგიური ელემენტების შემოტანა, — მარქსიზმის საფუძვლების არამეცნიერული და ამიტომ პროლეტარიატისათვის მავნე განმარტების შედეგია" (ი. ბ. სტალინი, ტ. II, გვ. 177).

ლენინი წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" გვიჩვენებს, რომ იმპერიალიზმის ეპოქის ბურჟუაზიული ფილოსოფია სხვა არა არის რა, თუ არ წინანდელი იდეალისტური ფილოსოფიის ყველაზე რეაქციული მხარეების რესტავრაცია. მახისტები არსებითად უარყოფდნენ სამყაროს მატერიალურობას, მატერიის პირველადობას და შეგნების მეორადობას. მახიზმი უშუალო მომიჯნავეა ბერკლისა და იუმის რეაქციული მოძღვრებისა. თავიანთ სუბიექტურ იდეალიზმს მახისტები ჩქმალავდნენ ზოგიერთი სიტყვიერი ტერმინით, სოფისტური ხრიკებით.

თავის წიგნში ლენინი ამხილებს მახისა და ავენარიუსის იდეალისტურ შეხედულებათა რეაქციულ ხასიათს. მახიზმი უცხოა ნამდვილი მეცნიერებისათვის. მახიზმის ღვიძლი დაა რელიგია.

აკრიტიკებს რა მახიზმს, ლენინი ააშკარავებს მის სოციალურ ფესვებს, გვიჩვენებს მახიზმის, როგორც იმპერიალისტური რეაქციის ფილოსოფიის, კლასობრივ საფუძველს. მებრძოლი პარტიულობით არის გამსჭვალული მახიზმის ლენინური კრიტიკა. ლენინი გვიჩვენებს მახისა და ავენარიუსის ღვლარჭნილ იდეალისტურ მოძღვრებათა რეაქციულ პოლიტიკურ არსს.

ლენინის მიერ მახისტური ფილოსოფიის მთელი კრიტიკა მთლიანად და სავსებით შეეხება ინგლის-ამერიკის რეაქციულ ფილოსოფიას — პრაგმატიზმს, რომელიც წარმოადგენს „ბიზნესისა" და იმპერიალისტური ბურჟუაზიის რეაქციული პოლიტიკური ინტერესების დასაბუთებას. პრაგმატისტებს, მაგალითად, ომი (იმპერიალისტური) მიაჩნიათ „ბუნებრივ", თვით ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე მოვლენად. ისინი რეაქციულ კოსმოპოლიტიზმს ქადაგებენ.

ბურჟუაზიული ფილოსოფიის რეაქციულ მიმართულებათა წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში ლენინი ავითარებს მარქსისტულ მატერიალიზმს, უმაღლეს საფეხურზე აჰყავს იგი. ლენინი არკვევს შემეცნების პროცესის ძირითად მომენტებს, საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკის როლს და შემოქმედებითად ავითარებს მარქსისტულ მოძღვრებას ჭეშმარიტების შესახებ.

დიალექტიკური მატერიალიზმის დაცვასთან და შემდგომ განვითარებასთან უშუალო კავშირში ლენინი სრულად და ყოველმხრივ აყალიბებს მოძღვრებას მატერიისა და მოძრაობის, სივრცისა და დროის მიზეზობრიობისა და კანონზომიერების შესახებ. ლენინმა ახალი სიტყვა თქვა ყველა ამ საკითხზე.

შემოქმედებითად ავითარებდა რა მარქსიზმის ფილოსოფიას, ლენინი ეყრდნობოდა ბუნებისმეტყველების განვითარების წინა პერიოდში დაგროვებულ მთელ ცოდნას. მან გენიალურად განაზოგადა მისი თანამედროვე ბუნებისმეტყველების ყველა დასკვნა. მისი დამსახურებაა ბუნებისმეტყველებაში უახლესი რევოლუციის პრინციპული შინაარსის ცხადყოფა.

ლენინმა მოგვცა თანამედროვე ფიზიკის უდიდეს აღმოჩენათა ფილოსოფიური შეფასება. მან გამოააშკარავა იმპერიალიზმის ეპოქაში ბურჟუაზიული ფიზიკის კრიზისის არსი. ნაშრომმა „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა იდეალიზმს ფიზიკაში. ამ ნაშრომში ბოლომდე მხილებულია „ფიზიკური იდეალიზმი" და ნაჩვენებია, რომ მეცნიერება ბუნების შესახებ შეიძლება ყოველმხრივ განვითარდეს მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმის გზით. ლენინის მოძღვრება ბუნებისმეტყველებაში უახლესი რევოლუციისა და ბურჟუაზიული ფიზიკის კრიზისის შესახებ ყოველმხრივ და სრულად დადასტურდა თანამედროვე ბუნებისმეტყველების განვითარებით. თანამედროვე ფიზიკის ნამდვილი გაგება მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძველზე შეიძლება.

ლენინის მიერ „ფიზიკური იდეალიზმის" კრიტიკა სავსებით შეეხება თანამედროვე იდეალისტ ფიზიკოსებს, რომელთაც არც ერთი ახალი საბუთი არ წამოუყენებიათ მატერიალიზმის წინააღმდეგ. იმპერიალისტური ბურჟუაზია ამახინჯებს რა უკანასკნელ აღმოჩენებს ატომური ფიზიკის დარგში, თავისი მეცნიერი ადვოკატების ედინგტონის, ჰეიზენბერგის, ჯინსის, ბორისა და სხვათა სახით ილაშქრებს ობიექტური რეალობის — მატერიისა და მიზეზობრიობის აღიარების წინააღმდეგ. ეს ცრუმეცნიერული შეხედულებანი უაღრესად მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ხუცობასა და მისტიკასთან.

თავის ნაშრომში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" ლენინმა სასტიკად გააკრიტიკა და გაანადგურა დიალექტიკური მატერიალიზმის მტრები. მან მაღლა აღმართა პროლეტარული ფილოსოფიის პარტიულობის დროშა და ცხადყო, რომ კლასობრივ საზოგადოებაში ზეკლასობრივი, უპარტიო მოძღვრებანი, ფილოსოფიური სისტემები არ არსებობენ და არც შეიძლება არსებობდნენ. ლენინმა ულმობლად გამოააშკარავა უპარტიო მეცნიერების იდეის მთელი სიყალბე, მთელი თვალთმაქცობა, მთელი რეაქციულობა. ბურჟუაზია ცდილობს უპარტიობის ალმით დაფაროს ის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ მთლიანად ბურჟუაზიული ფილოსოფია და იდეოლოგია გამოხატავენ ერთ მუჭა ექსპლოატატორთა და მჩაგვრელთა ვიწრო ინტერესებს. „მატერიალიზმის მოწინააღმდეგეებთან ბოლშევიკური ბრძოლის ნიმუშს, — თქვა ა. ა. ჟდანოვმა, — წარმოადგენს ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი", სადაც ლენინის თვითეული სიტყვა მოწინააღმდეგის მომსპობი, გამანადგურებელი მახვილია" („ვოპროსი ფილოსოფიი", № 1, 1947 წ., გვ. 260-261).

ამხანაგმა სტალინმა შემდგომ განავითარა და გაამდიდრა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია. შესანიშნავ ნაწარმოებში „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ", მან ახალ, უმაღლეს საფეხურზე აიყვანა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია. ეს ნაშრომი წარმოადგენს ყოველივე იმის განზოგადებას, რაც მარქსმა, ენგელსმა და ლენინმა მოგვცეს დიალექტიკური მეთოდისა და მატერიალისტური თეორიის დარგში. მასში დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის მოძღვრება განვითარებულია საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა უახლესი მონაცემების, პროლეტარიატის რევოლუციური პრაქტიკის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს პრაქტიკის საფუძველზე.

ახლა, მატერიალისტური ბუნებისმეტყველების წინააღმდეგ იდეალისტ ფიზიკოსთა გააფთრებული იერიშების დღეებში, ლენინის ნაშრომი თანამედროვე იმპერიალისტური ბურჟუაზიის რეაქციულ ცრუმეცნიერულ მოძღვრებათა მხილების უაღრესად ბასრი იარაღია.

სრული დაცემულობა, სულშემხუთავი უძლურება, ხუცობის ქადაგება, ბურჟუაზიული მეცნიერული აზრის ნამდვილი ლპობა, მისი ღრმა რეაქციული ტენდენციები ყველაზე სრულად გამოიხატა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეოლოგიაში. ბურჟუაზიული იდეოლოგიის ეს მარაზმი მით უფრო ღრმა ხდება, რაც უფრო იზრდება და მტკიცდება მოწინავე პროგრესული კლასის — პროლეტარიატის ძალები.

ჩვენს დროს, როცა მწვავე და დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა პროგრესულ სამყაროსა და იმპერიალიზმს შორის, ფილოსოფია მარქსისტულ-ლენინურ თეორიასა და იმპერიალიზმის თანამედროვე რეაქციულ იდეოლოგიას შორის მწვავე ბრძოლის ასპარეზი გახდა. ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და სოციალდემოკრატიული ბანაკიდან მის ქომაგთა წინააღმდეგ ბრძოლაში ლენინიზმი გამოდის მოწინავე მეცნიერების მთელი ძალით.

პროფესორი ბ. ჩაგინი,
ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს V სესია

10-11 მაისს ძერჟინსკის სახელობის კლუბში მიმდინარეობდა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს V სესია.

სესია გახსნა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა მ. მ. ლელაშვილმა.

სესიის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა დეპუტატი თ. ნ. ქვლივიძე, სესიის მდივნად—დეპუტატი მ. ს. მელია.

სესიამ განიხილა საკითხები:

1. თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარების 1949 წლის გეგმა;
2. ქალაქ თბილისის 1949 წლის ბიუჯეტი და 1948 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი ვ. დ. ეპიტაშვილი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგემ დეპუტატმა რ. ი. კაჭარავამ. ამავე საკითხზე მოსმენილ იქნა აგრეთვე თბილისის საქალაქო საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ა. ე. მელაძის თანამოხსენება.

დეპუტატმა ვ. ეპიტაშვილმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ გასული წლის გეგმების წარმატებით შესრულების შედეგად თბილისის საქალაქო მეურნეობის ძირითადმა დარგებმა ომამდელ დონეს მიაღწიეს, ხოლო ზოგიერთმა მნიშვნელოვნად გადააჭარბა მას. ახლა ქალაქს 50 პროცენტით მეტი წყალი ეძლევა, ვიდრე 1940 წელს, ამასთან სამნახევარჯერ და მეტად გადიდდა სარწყავ-ხანძარსაწინააღმდეგო წყალსადენის სიმძლავრე და გაფართოვდა მისი ქსელი. წყალსადენის ქსელის სიგრძე 25 კილომეტრით გადიდდა, კანალიზაციის ქსელისა—5,33 კილომეტრით. საქალაქო ტრანსფორმატორების სიმძლავრე გაიზარდა ერთიორად და ქალაქი ახლა ორჯერ მეტ ელექტროენერგიას იღებს. ტრამვაის ხაზის სიგრძე 5 კილომეტრით გადიდდა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქალაქის გამწვანების საკითხებს.

დედაქალაქში ომისშემდგომი მშენებლობის უდიდეს და უმნიშვნელოვანეს ობიექტებს წარმოადგენენ მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს, საბჭოს ქუჩაზე ღვარსაშვებისა და პლეხანოვის პროსპექტზე საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ცენტრალიზებულ კაპიტალურ სამუშაოთა 1948 წლის გეგმა შესრულდა 152,3 პროცენტით, ხოლო მთლიანად კაპიტალურ სამუშაოთა და ქალაქის კეთილმოწყობის, მათ შორის ქალაქის სკოლების, საავადმყოფოების, საბინაო ფონდის სარემონტო სამუშაოების გეგმა შესრულებულ იქნა 118,3 პროცენტით.

საქალაქო მეურნეობის თითქმის ყველა დარგმა 1948 წელს შეასრულა ექსპლოატაციისა და სამშენებლო-სარემონტო სამუშაოთა გეგმები. მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული ქალაქის მოსახლეობისა და მრეწველობის ელექტროენერგიით მომარაგებისათვის. აგებულია 20 ახალი და შეკეთდა 30 სატრანსფორმატორო კიოსკი, მიწისქვეშა კაბელი ჩაწყობილ იქნა 15 კილომეტრზე და 5 კილომეტრზე შეიცვალა ძველი კაბელი. საჰაერო ხაზების ქსელი გადიდებულია 10,5 კილომეტრით.

შემდეგ ამხ. ეპიტაშვილი აღნიშნავს, რომ სესიის დასამტკიცებლად წარდგენილი თბილისის საქალაქო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1949 წლის გეგმა ითვალისწინებს ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია თბილისის XIX საქალაქო პარტიული კონფერენციის მიერ საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარების დარგში დასახული ამოცანების განხორციელებისაკენ. ცენტრალიზებულ კაპიტალურ სამუშაოთა საერთო მოცულობა განსაზღვრულია 19.268,0 ათასი მანეთით (1949 წლის ფასებში). ამ სახსრებიდან გათვალისწინებულია დაიხარჯოს: კომუნალურ მშენებლობაზე — 13.585,0 ათასი მანეთი, ახალ საბინაო მშენებლობაზე — 3.470,0 ათასი მანეთი, ახალი სკოლების მშენებლობაზე—1.653,0 და საავადმყოფოების მშენებლობაზე—560,0 ათასი მანეთი. არაცენტრალიზებულ სამუშაოთა ხარჯები, რომლებიც იგეგმება და წესდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ, განსაზღვრულია 11.669,0 ათასი მანეთით.

აღნიშნულის გარდა მნიშვნელოვანი სახსრები გამოიყოფა სასკოლო შენობების, საავადმყოფოების, კურორტების, საბინაო ფონდის, ქუჩების კაპიტალური და მიმდინარე რემონტისათვის.

მთლიანად, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს სისტემაში შემავალ ორგანიზაციათა ხარჯები 1949 წელს კაპიტალურ მშენებლობათა და სარემონტო სამუშაოთა შესასრულებლად შეადგენს 103.852,3 ათას მანეთს.

შემდეგ მომხსენებელი ვრცლად ეხება იმ ძირითად სამუშაოებს და საქალაქო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებას, რომელთა დაფინანსებაც მოხდება აღნიშნული სახსრებიდან 1949 წელს.

თბილისის წყლით მთლიანად უზრუნველყოფის პრობლემა დაკავშირებულია ბულაჩაურის წყალსადენის დამთავრებასთან. წყალსადენი უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში დამთავრდება და ქალაქის მომარაგება წყლით თითქმის გაორკეცდება. ამასთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე დგას ამოცანა—ქალაქის წყალსადენის ქსელი ახლავე მოვამზადოთ ახალი წყლის მისაღებად.

საკანალიზაციო მეურნეობაზე გათვალისწინებულია 1.400 ათასი მანეთის დახარჯვა. ამ მხრივ 1949 წელს ძირითად სამუშაოდ ითვლება საბჭოს ქუჩაზე ღვარსაშვების მშენებლობის დამთავრება. ლიმიტგარეშე სახსრების ანგარიშში კაპიტალური რემონტის ჩატარებით ნავარაუდევია ძველი კოლექტორების შეცვლა ხახანაშვილის, ბოჭორიშვილის, 9 იანვრის, 300 არაგველის, მაგისტრალის, ტულის, ხეჩუაშვილის და სხვა ქუჩებზე. კოლექტორების კაპიტალური რემონტი ჩატარდება დუშეთის, პეტრიწის, ფიროსმანის, ნადიკვარის, ჭავჭავაძის და სხვა ქუჩებზე.

მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდება ქალაქის ელექტრომომარაგების გასაუმჯობესებლად. 1949 წელს ელექტროქსელის გასაფართოებლად გათვალისწინებულია 2,7 მილიონი მანეთის გაღება. დიდი სახსრებია ნავარაუდევი ტრამვაი-ტროლეიბუსების მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. დაგეგმილია ტრამვაის 8 ახალი ვაგონის და ტროლეიბუსის 10 ახალი მანქანის შეძენა.

მიმდინარე წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოებს. წელს მტკვრის მარცხენა სანაპიროს მშენებლობის გასაგრძელებლად და ნაწილობრივ დასამთავრებლად ნავარაუდევია დაიხარჯოს 2.170,0 ათასი მანეთი.

დეპუტატი რ. კაჭარავა თავის მოხსენებაში ქ. თბილისის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტისა და 1948 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ, ვრცლად შეჩერდა იმ დიდ მუშაობაზე, რაც თბილისის მშრომელებმა 1948 წლის გეგმების შესასრულებლად გასწიეს.

— ქ. თბილისის 1948 წლის ბიუჯეტი, — თქვა მომხსენებელმა, — დამტკიცებული იყო 249.350 ათასი მანეთის რაოდენობით. მთავრობის დადგენილებით წლის განმავლობაში შემოსავლის გეგმაში შეტანილ იქნა ცვლილებები. ამ ცვლილებების მხედველობაში მიღებით ბიუჯეტის საშემოსავლო გეგმა 6.617,0 ათასი მანეთით გადაჭარბებით იქნა შესრულებული. მთელი ეს თანხა მოხმარდა დამატებით ქალაქის კეთილმოწყობას. ქალაქის კომუნალურმა საწარმოებმა დაგროვების გეგმის გადაჭარბებით შესრულების შედეგად ბიუჯეტს გეგმის გადამეტებით მისცეს 15 მილიონ მანეთზე მეტი.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქ. თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებმა, გარდა კიროვის და სტალინის სახელობის რაიონების საკოლმეურნეო ბაზრებისა, შემოსავლის გეგმა ვერ შეასრულეს და ბიუჯეტს 653,0 ათასი მანეთი დააკლეს. ასევე არ შესრულდა ბრუნვის გადასახადის გეგმა, რის გამო ბიუჯეტმა ვერ მიიღო ამ გადასახადის ანარიცხები 4.850,0 ათასი მანეთის ოდენობით.

თბილისის 1949 წლის ბიუჯეტი დაგეგმილია 273.029,0 ათასი მანეთის რაოდენობით. ომისწინა პერიოდთან — 1940 წელთან შედარებით ქალაქის ბიუჯეტი გაზრდილია 62,1 პროცენტით, ხოლო 1948 წელთან შედარებით—9,4 პროცენტით.

წლის თბილისის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბრუნვის გადასახადის ანარიცხებს. გეგმით გათვალისწინებულია შემოვიდეს ბრუნვის გადასახადი 1.948.550.000 მანეთი.

შემდეგ მომხსენებელი ჩამოთვლის იმ სავაჭრო ორგანიზაციებს, რომლებმაც შარშან კარგად იმუშავეს და საქონელბრუნვის გეგმები წარმატებით შეასრულეს. ამასთან ამხ. კაჭარავა ეხება ჩამორჩენილ სავაჭრო და გამსაღებელ ორგანიზაციებს, რომელთაც სუსტი და მოუქნელი მუშაობის გამო ვერ შეასრულეს საქონლბრუნვის გეგმები და სამშობლოს მილიონობით მანეთი დააკლეს. ასეთ ორგანიზაციებს ეკუთვნიან „გლავლეგსბიტი", „გლავპარფიუმერია", „გლავტექსტილსბიტი" და სხვ.

თბილისის 1949 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის გასავალი, როგორც ამხ. კაჭარავამ განაცხადა, გეგმით უდრის 273.029,0 ათას მანეთს, ე. ი. შარშანდელთან შედარებით 23.677,0 ათასი მანეთით მეტია. ქალაქის კომუნალურ-საბინაო მეურნეობაზე დაიხარჯება ბიუჯეტის 24,3 პროცენტი, ხოლო სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე — 68,3 პროცენტი.

შემდეგ მომხსენებელი ვრცლად ჩერდება ცალკეული დარგების დაფინანსებასა და თბილისის რაიონების ბიუჯეტებზე.

საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი მოსმენილ მოხსენებათა გამო.

კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა გ. ჟორჟიკაშვილმა, ვ. გელაშვილმა, გ. ბეჟანიშვილმა, ლენინის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ა. თათარიშვილმა, დეპუტატებმა გ. შუშანიამ, ნ. ბარკალაიამ, მ. სანიკიძემ, ა. ჩიტაიშვილმა, ვ. თოფურიამ, ვ. ბარამიძემ, გ. ხომერიკმა, ვ. პაპიევმა და ვ. მარშანიამ.

სესიამ დაამტკიცა ქ. თბილისის საქალაქო მეურნეობის 1949 წლის განვითარების გეგმა და მიიღო კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებაც უზრუნველყოფს ქ. თბილისის ადგილობრივი ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ისე საგასავლო ნაწილის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

გერმანიის სახალხო საბჭო მოუწოდებს ეროვნული ფრონტის შექმნისაკენ

ბერლინი, 10 მაისი. (საქდესი). გუშინ შედგა გერმანიის სახალხო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. გერმანიის სახალხო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ოტო ნუშკემ, პრეზიდიუმის წევრმა ბერნჰარდ გერინგმა და მუდმივი კომიტეტის წევრმა ალექსანდრე აბუშმა, რომლებიც მშვიდობის მომხრეთა პარიზისა და პრაღის მსოფლიო კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდნენ როგორც გერმანიის დელეგატები, ინფორმაცია გააკეთეს კონგრესის გადაწყვეტილებათა და მშვიდობისათვის მოძრაობის შემდგომ ამოცანათა შესახებ.

ოტო გროტევოლის წინადადებით გერმანიის სახალხო საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო რეზოლუცია, რომ გერმანიის ერთიანობისათვის საჭიროა შეიქმნას ეროვნული ფრონტი. იმასთან დაკავშირებით, რომ სახალხო საბჭოს წინადადება სრულიად გერმანიის თათბირის მოწვევის შესახებ უარყო ეგრეთწოდებულმა ბონის საპარლამენტო საბჭომ და მაინის ფრანკფურტის ორზონალურმა ეკონომიურმა საბჭომ, გერმანიის სახალხო საბჭოს პრეზიდიუმმა გადაწყვიტა ანალოგიური წინადადებით მიმართოს უშუალოდ დასავლეთ გერმანიის ყველა პარტიას, მშვიდობის მომხრეთა გაერთიანებებს, ქრისტიანთა კავშირებს, ახალგაზრდათა და ქალთა ორგანიზაციებს, აგრეთვე ნაუჰაიმის წრეს.

„გერმანიის სახალხო საბჭოს პრეზიდიუმი,— ნათქვამია რეზოლუციაში,—მიესალმება მშვიდობის მომხრეთა პარიზისა და პრაღის მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებას, როგორც მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში შეტანილ მნიშვნელოვან წვლილს. ხელიდან გავაგდებინოთ იარაღი ომის გამჩაღებლებს, გავათავისუფლოთ კაცობრიობა ახალი მსოფლიო ომის წინაშე შიშისაგან — ასეთია ამოცანა, რომლის განხორციელებისთვისაც გაერთიანდა მშვიდობისათვის ყველა მებრძოლი. მშვიდობის ბანაკს ეკუთვნიან ყველა ერის მშვიდობისმოყვარე და პროგრესული ადამიანები, ხოლო საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები ამ ბანაკის ყველაზე მტკიცე ბურჯს წარმოადგენენ. ამჟამად ქვეყნიერების ყველა ნაწილში ყველა ხალხთა მშვიდობის უდიდეს ფრონტში უკვე ირიცხება 600 მილიონი მშვიდობის მომხრე და ეს ფრონტი დღითი დღე უფრო ძლიერდება და მეტ გავლენას ახდენს საერთაშორისო განვითარებაზე. სრულიად გერმანიის დელეგაციას კონგრესზე მიეცა ადგილი და ხმის უფლება, როგორც თანასწორს თანასწორთა შორის.

გერმანიის სახალხო საბჭო მადლობას უძღვნის მშვიდობისათვის მებრძოლებს იმ დახმარებისათვის, რომელსაც მას გერმანიის ერთიანობისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში უწევენ. გერმანიის სახალხო საბჭო მიესალმება მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის შექმნას და აცხადებს, რომ მზად არის ითანამშრომლოს ეროვნულ ფრონტში, რომელიც გერმანიაში უნდა შეიქმნას.

ხალხებმა შეძლეს თანამშრომლობისათვის მიეღწიათ მშვიდობისათვის ბრძოლაში. ახლა სიტყვა საგარეო საქმეთა მინისტრებს ეკუთვნით. ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა შეთანხმება პარიზში საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწყობის შესახებ იმედს აძლევს გერმანელ ხალხს, რომ გერმანიის ერთიანობა და სამართლიანი მშვიდობა უზრუნველყოფილი იქნება. გერმანელთა პირდაპირი მოვალეობაა მიაღწიონ ურთიერთგაგებას. ბონის საპარლამენტო საბჭოს მიერ „ძირითადი კანონის“ მიღება დასავლეთ გერმანიის სეპარატული სახელმწიფოსათვის მხოლოდ და მხოლოდ ბარიკადაა პარიზის მოლაპარაკების გზაზე. ეს პოლიტიკა ეწინააღმდეგება გერმანიის ეროვნულ ინტერესებს და ამიტომ მას ვერ აღიარებს გერმანიის სახალხო საბჭო. გერმანიის მომავლისათვის ამ პასუხსაგებ ჟამს გერმანიის სახალხო საბჭო ერთხელ კიდევ იძლევა წინადადებას—შევხვდეთ ჩვენს თანამემამულეებს ჩვენი სამშობლოს დასავლეთი ნაწილიდან საერთო მოლაპარაკებისათვის და სრულიად გერმანიის დეკლარაციის შესამუშავებლად.

გერმანიის სახალხო საბჭოს პრეზიდიუმი გერმანიისადმი ამ ეროვნული ერთგულების ნიშნით მოუწოდებს მთელ გერმანელ ხალხს მხარი დაუჭიროს გერმანიის მესამე სახალხო კონგრესს. დასავლეთ გერმანიის პარტიებს, ორგანიზაციებსა და ყველა სხვა ეროვნულ წრეებს ეგზავნებათ მიწვევა მონაწილეობა მიიღონ სახალხო კონგრესში დელეგატების, წარმომადგენლების ან სტუმრების გაგზავნით და ამით შექმნან მთელი ხალხის ეროვნული ფრონტი.

საქმე ეხება არა რომელიმე პარტიას, მსოფლმხედველობას ან წოდებას, არამედ საქმე ეხება გერმანიას, მის ერთიანობას და რაც შეიძლება მალე სამართლიანი მშვიდობის დამყარებას“.

დასავლეთ სახელმწიფოებმა გააუქმეს გერმანიაში 1948 წლის 1 მარტის შემდეგ შემოღებული შეზღუდვები

ბერლინი, 11 მაისი. (საქდესი). დღეს ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ბერლინის განყოფილებამ გერმანული პრესისათვის გადასცა ცნობა (რომელიც შემდეგ დღნას სააგენტომ გაიმეორა), სადაც აღნიშნულია, რომ გერმანიის სამ დასავლეთ ზონაში მოკავშირეთა პასუხისმგებელმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მიიღეს იმისათვის საჭირო მითითებანი, რომ განხორციელდეს ოთხი მთავრობის მიერ ნიუიორკში მიღებული შეთანხმება—გაუქმდეს შეზღუდვები კავშირგაბმულობის, ტრანსპორტისა და ვაჭრობის დარგში, რაც 1948 წლის 1 მარტიდან შემოიღეს სსრ კავშირის ხელისუფლებმა ბერლინსა და გერმანიის დასავლეთ ზონებს შორის და აღმოსავლეთ ზონასა და დასავლეთ ზონებს შორის და ამავე დროს დასავლეთმა მაოკუპირებელმა სახელმწიფოებმა გააუქმონ 1948 წლის 1 მარტიდან მათ მიერ შემოღებული შეზღუდვანი.

ამ მითითებათა შესრულება, ნათქვამია ცნობაში, ბრიტანეთის ზონაში დავალებული აქვთ ბრიტანეთის სამხედრო ადმინისტრაციის ზონალურ და ადგილობრივ სამმართველოებს და ამერიკის ზონაში — მხარეების ამერიკის სამხედრო ადმინისტრაციათა დირექტორებს. ამ მითითებებს ისინი განახორციელებენ ორმხრივ საკონტროლო უწყებასთან თანამშრომლობით. აღნიშნული ორგანოები მიიღებენ საჭირო ზომებს, რათა 12 მაისიდან მოიხსნას ყველა შეზღუდვა, რაც შემოღებული იყო 1948 წლის 1 მარტის შემდეგ.

ვაჭრობის დარგში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეზღუდვა, განაგრძობს ცნობა, ის იყო, რომ გერმანულ ორგანოებს აეკრძალათ საქონლის თანხმლები დოკუმენტების გაცემა. ახლა გამოცემული მითითებანი, რამდენადაც ისინი დასავლეთ ზონებს შეეხებიან, ითვალისწინებენ საბჭოთა ზონასთან და ბერლინთან იმ სავაჭრო ურთიერთობის აღდგენას, რომელიც უშუალოდ 1948 წლის მარტამდე არსებობდა. ის ფაქტი, რომ ამჟამად არ არის საზონათაშორისო სავაჭრო შეთანხმება, რასაკვირველია, არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ დაუყოვნებლივ განახლდეს ვაჭრობა და ბიზონიის მხარეთა შესაბამისმა ეკონომიურმა სამმართველოებმა გასცენ საქონლის თანხმლები საჭირო დოკუმენტები, როგორც ამ ნებართვებს 1948 წლის 1 მარტამდე იძლეოდნენ ყველა მიწოდებისათვის, მიუხედავად იმისა, დადებული იყო თუ არა სავაჭრო შეთანხმება ამ საქონლის გატანაზე.

გაიხსნა იტალიის სოციალისტური პარტიის 28-ე ყრილობა

რომი, 11 მაისი. (საქდესი). რომის რადიო გადმოგვცემს, რომ დღეს ფლორენციაში გაიხსნა იტალიის სოციალისტური პარტიის 28-ე ყრილობა. სენატორმა ბარბარესკიმ თავის სიტყვაში პატივისცემით აღნიშნა მატეოტის ხსოვნა მისი მოკვლის 25-ე წლისთავთან დაკავშირებით. ყრილობას იტალიის კომუნისტური პარტიის სახელით მიესალმა პალმირო ტოლიატი. ყრილობას მიესალმნენ აგრეთვე ინდოეთის, საფრანგეთისა და ავსტრიის სოციალისტური პარტიების წარმომადგენლნი.

დღეს ყრილობის საღამოს სხდომაზე პოლიტიკურ მოხსენებას გააკეთებს იტალიის სოციალისტური პარტიის მდივანი იაკომეტი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის სესიაზე

ჟენევა, 11 მაისი. (საქდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, 9 მაისს ჟენევაში გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის სესია.

ეკონომიური კომისიის აღმასრულებელი მდივნის მიურდალის შესავალი სიტყვის შემდეგ, რომელმაც გააკეთა კომისიის კომიტეტთა მუშაობის მიმოხილვა, სიტყვა წარმოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ჰარიმანმა, რომელიც ამართლებდა და ასაბუთებდა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიურ პოლიტიკას.

ჰარიმანმა აღნიშნა, რომ სასურველია გადიდდეს ექსპორტი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან დასავლეთ ევროპაში. იგი ამტკიცებდა, თითქოს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს საკმარისი რაოდენობით არ გააქვთ საქონელი, და ცდილობდა მათთვის დაებრალებინა ის, რომ ევროპაში შინავაჭრობის ასეთი მდგომარეობაა.

გუშინ სესიაზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია კომიტეტების მოხსენებათა გამო. გამოვიდნენ ბელგიის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, ჰოლანდიის, ნორვეგიისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების წარმომადგენლნი.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა არუთინიანმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის კომიტეტებმა თავიანთ მუშაობაში ანგარიში არ გაუწიეს იმ კრიტიკასა და იმ წინადადებებს, რომლებიც სხვადასხვა დელეგაციებმა ეკონომიური კომისიის მესამე სესიაზე შეიტანეს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომიტეტების მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი ის არის, რომ ისინი ასცდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის ამოცანებს და გატაცებული არიან წვრილმანი მეორეხარისხოვანი საკითხებით, რომლებსაც პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვთ. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მკაფიოდ გამომჟღავნდა ტრანსპორტის საკითხთა კომიტეტის მუშაობაში. ამ კომიტეტმა დიდი ყურადღება მიაქცია ისეთ საკითხს, როგორიცაა ტვირთების დროებითი გაზიდვის ტიპიური ნებართვის ბლანკების შესწავლა და ამავე დროს გააუქმა ისეთი დიდმნიშვნელოვანი ორგანო, როგორიცაა სატრანსპორტო მოწყობილობისა და რკინიგზის ტრანსპორტის დარგის სამუშაო ჯგუფი.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რეზოლუციას, რომელიც ქვანახშირის საკითხთა კომიტეტის სესიაზე მიღებულ იქნა პოლონეთის დელეგაციის წინადადებით. ეს რეზოლუცია კომიტეტს უსახავდა ამოცანას უზრუნველეყო „უახლოეს წლებში, ისევე როგორც წარსულში, ევროპის დამოუკიდებლობა მისი მაგარი სათბობით მომარაგების დარგში“, ე. ი. უსახავდა ამოცანას, რომ ევროპა განთავისუფლებულიყო ამერიკული ნახშირის შეზიდვისაგან, რაც ამჟამად მნიშვნელოვნად ადიდებს დასავლეთ ევროპის ქვეყნების სავალამხდელო ბალანსის დეფიციტს. მაგრამ კომიტეტის სესიაზე ამერიკელთა მეცადინეობით უკვე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ქვანახშირით ევროპის მომარაგება უნდა ემყარებოდეს არა ევროპის საკუთარ რესურსებს, და შესაბამისად გაუქმდა საშახტო მოწყობილობის ჯგუფი, რომლის ამოცანასაც შეადგენდა ევროპის ქვანახშირის მრეწველობის აღდგენისათვის ხელის შეწყობა. ქვანახშირის საკითხთა კომიტეტი უგულებელყოფს ევროპის ქვეყნების ქვანახშირის მრეწველობის აღდგენისა და განვითარებისათვის ხელშეწყობის ძირითად საკითხებს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის უმნიშვნელოვანესი ამოცანების ასეთი უგულებელყოფა ყველა კომიტეტის საერთო გეზს წარმოადგენს.

არუთინიანმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაციას აუცილებლად მიაჩნია მიღებულ იქნას ქმედითი ზომები ეკონომიური კომისიის ამ კომიტეტების მუშაობის გასაუმჯობესებლად, და ეს კომიტეტები დაქვემდებარებულ უნდა იქნან ეკონომიური კომისიის საერთო ამოცანებისადმი.

საბჭოთა წარმომადგენელი შეჩერდა ამერიკის წარმომადგენელ ჰარიმანის გუშინდელ განცხადებაზე და ციფრებით ცხადყო, რომ აღმოსავლეთ ევროპიდან დასავლეთ ევროპაში გაცილებით მეტი რაოდენობით გააქვთ საქონელი, ვიდრე დასავლეთ ევროპიდან აღმოსავლეთ ევროპაში შეაქვთ. 1947 წელს ეს სხვაობა 14 პროცენტს შეადგენდა, 1948 წელს 37 პროცენტს მიაღწია: შეადგენდა 1.275 მილიონ დოლარს ნაცვლად 930 მილიონისა. სხვაობის ამ ზრდას იწვევს დისკრიმინაციული პოლიტიკა, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით დასავლეთ ევროპის ქვეყნები ეწევიან აღმოსავლეთ ევროპასთან ვაჭრობის დარგში. ასეთი პოლიტიკის შედეგად დასავლეთ ევროპის ქვეყნები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან უფრო და უფრო მეტ საქონელს ყიდულობენ, ხოლო შედარებით ნაკლებს აწვდიან მათ, მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპას შორის ვაჭრობის განვითარების საჭიროება განუწყვეტლივ მატულობს.

დასასრულ არუთინიანმა აღნიშნა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობის დარგში დისკრიმინაციის შემდგომ პოლიტიკას შესაძლოა მეტად სერიოზული შედეგები მოჰყვეს სწორედ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკისათვის.

დანიის კომუნისტური პარტიის მე-16 ყრილობის მიმართვა

კოპენჰაგენი, 10 მაისი. (საქდესი). გაზეთმა „ლანდ ოგ ფოლკმა“ გამოაქვეყნა დანიის კომუნისტური პარტიის მე-16 ყრილობის მიმართვა დანიელი ხალხისადმი.

მიმართვაში ნათქვამია:

„იმ ძალებს, რომლებმაც მსოფლიო არაერთგზის აიძულეს ეომნა იმისათვის, რომ თვითონ ეს ძალები გამდიდრებულიყვნენ იარაღის წარმოებით, სხვა ხალხებისა და რასების ჩაგვრით, კვლავ სურთ ახალ მსოფლიო ომში ჩაბან კაცობრიობა. ეს ომი სასიკვდილო საფრთხეს გვიქმნის ჩვენ და ჩვენს შვილებს. იგი ემუქრება მუშათა მოძრაობის ორგანიზაციებს, მის მონაპოვართ. იგი ემუქრება კაცობრიობის მომავალს...

მაგრამ მშვიდობა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას,—ნათქვამია შემდეგ მოწოდებაში,— რადგან ამჟამად მშვიდობის ძალები უფრო ძლიერი არიან, ვიდრე ომის ძალები. მშვიდობის მომხრეთა პარიზის მსოფლიო კონგრესის მეოხებით მსოფლიოს ყველა ქვეყნის 600 მილიონი კაცი დაირაზმა მშვიდობის მძლავრ არმიად. ეს არმია ღრმა ფესვებით არის დაკავშირებული ყველა ხალხთან. საბჭოთა კავშირი, რომელმაც ჰიტლერის სამხედრო მანქანა გაანადგურა, და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები ამ არმიის ავანგარდში დგანან.

მაგრამ მშვიდობა რომ უზრუნველვყოთ, ამისათვის აუცილებელია მთელი ძალების გამოყენება.

ამიტომ ჩვენ ვეუბნებით დანიელ ხალხს: მოითხოვე, რომ ქვეყნის სიმდიდრე გამოყენებული იყოს ჩვენი ბავშვების, მოზარდებისა და მოხუცების საკეთილდღეოდ. ნებას ნუ მისცემ გამალებული შეიარაღებისათვის გამოიყენონ ეს სიმდიდრე. ამით შენ მშვიდობისათვის იბრძოლებ.

განამტკიცე მუშათა მოძრაობა, იბრძოლე მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ამით შენ მშვიდობისათვის იბრძოლებ.

ამხილე ისინი, ვინც ომის გარდუვალობაზე ლაპარაკობს, ისინი, ვინც მილიარდები შეიძინა პირველი და მეორე მსოფლიო ომებით. ამით შენ მშვიდობისათვის იბრძოლებ.

შეუერთდი ატლანტიკის ბლოკის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტს. იბრძოლე დანიის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ამით შენ მშვიდობისათვის იბრძოლებ.

მხარი დაუჭირე საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკას, მხარი დაუჭირე მის წინადადებას შეიარაღების შემცირებისა და ატომურ ენერგიაზე კონტროლის შესახებ. ამით შენ მშვიდობისათვის იბრძოლებ.

მხარი დაუჭირე მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მანიფესტს, ხელი შეუწყე მის მოთხოვნათა განხორციელებას. ამით შენ მშვიდობისათვის იბრძოლებ.

შეუერთდი მშვიდობისათვის მებრძოლთა მსოფლიო ფრონტს! ჩაშალე ომის გამჩაღებელთა გეგმები!“

თბილისში ჩამოვიდა სსრ კავშირის კულტურის შემსწავლელი გერმანული საზოგადოების დელეგაცია

10 მაისს თბილისში ჩამოვიდა სსრ კავშირის კულტურის შემსწავლელი გერმანული საზოგადოების დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირს ესტუმრა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების მოწვევით.

დელეგაციაში შედიან: კ. შტაინჰოფი — ბრანდენბურგის მხარის პრემიერ-მინისტრი (დელეგაციის ხელმძღვანელი), მ. ზაიდევიცი — საქსონიის მხარის პრემიერ-მინისტრი, ვ. გეკერი — მეკლენბურგის მხარის პრემიერ-მინისტრი, პროფესორი ე. ჰიუბნერი — საქსონია-ანჰალტის მხარის პრემიერ-მინისტრი, პროფესორი ი. შტრუქსი — გერმანიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ა. გენეკე — მეშახტე, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და სამეურნეო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის აქტივისტთა მოძრაობის ინიციატორი, კ. ბარტელი (კუბა)—პოეტი, პროფესორი ვ. შტაინიცი, პროფესორი ე. ფაშერი, პროფესორი გ. ზედლაჩეკი, პროფესორი გ. ჰააკი, გ. აკერმანი — გაზეთ „[illegible]“ რედაქტორი, ლ. ენდე—გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდის“ პასუხისმგებელი რედაქტორი, დოცენტი ო. ჰერმენაუ, გ. გესნერი — ბერლინის რადიოს კომენტატორი, გ. აუსტი — ჟურნალისტი, ე. რომინგერი — ბერლინის უნივერსიტეტის სტუდენტი, და სსრ კავშირის კულტურის შემსწავლელი საზოგადოების წევრები: მ. ვიტკოვსკი, პ. ვესელი და ლ. ზეელიგი.

აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე ვ. ა. გოგუაძე, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ე. ე. გეგეჭკორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ი. ნ. ვეკუა და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პასუხისმგებელი თანამშრომლები.

დელეგაცია თბილისში რამდენიმე დღეს დარჩება. (საქდესი).

ფ ე ხ ბ უ რ თ ი

გუშინ, 12 მაისს, „დინამოს“ მოსკოვის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ცდკას“ და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები. თამაშის პირველ ნახევარში არმიელმა ფეხბურთელებმა ორი ბურთი გაიტანეს თბილისელთა კარში. მეორე ნახევარში თბილისელი ფეხბურთელები ხშირად უტევდნენ მოწინააღმდეგის კარს, მაგრამ ბურთი მაინც ვერ გაიტანეს. ამრიგად, მატჩი მოიგეს არმიელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:0

სანადირო ძაღლების გამოფენა

დღეს, 13 მაისს, კომუნარების ბაღში საქართველოს მონადირეთა კავშირის გამგეობა აწყობს სანადირო ძაღლების გამოფენას. გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისელი მონადირეები, ძაღლთსაშენების და საქართველოს 25 რაიონიდან ჩამოყვანილი ძაღლები.

გამოფენაზე ექსპერტებად მოწვეული არიან მსაჯები ა. ა. ჩუმაკოვი (მოსკოვი), პ. ნ. ჟორდანია და ვ. ნ. შარაშენიძე (თბილისი).

ჯიშიანი სანადირო ძაღლების მოვლა-მოშენებისა და გაწაფვა-დაგეშის შესახებ იწარმოებს კონსულტაციები.

გამოფენა გასტანს 3 დღეს.

ახალი წიგნი

„კეცხოველი“

საბლიტგამმა ახლახან გამოსცა ი. ლისაშვილის რომანი „კეცხოველი“. რომანი ავტორის მიერ ახლად რედაქტირებულია.

რომანი ასახავს დიდი სტალინის თანამებრძოლის ლადო კეცხოველის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

წიგნი შეიცავს 355 გვერდს, ღირს 16 მანეთი. გაფორმებულია კარგად.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

13 მაისს, საღამოს 8 საათზე, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის შემსწავლელთათვის შედგება დოცენტ ს. წერეთლის კონსულტაცია თემაზე: **„ვ. ი. ლენინის ნაშრომი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“.**

14 მაისს, დილის 10 საათზე, შედგება საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა მუშაკების სემინარი თემაზე: **„ი. ბ. სტალინის 1923 წელს დაწერილი ნაშრომები“.**

სემინარს უხელმძღვანელებს დოცენტი ლ. გორგილაძე.

საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალი

მერვე ტური

კლამანმა ენერგიული თამაშით დაამათა სოლმანისის მეფე. ჩისტიაკოვმა ვერ გამოიყენა მოგების შესაძლებლობა და ყაიმით დამთავრა პარტია კასპარიანთან. საინტერესო ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა აგრეთვე მაკაგონოვგრეჩკინის, ებრალიძე-პეტროსიანისა და ნეჟმეტდინოვ-ხოლმოვის პარტიები.

ოთხი პარტია გადაიდო. გელერს ზედმეტი პაიკი აქვს ენდშპილში ილივიცკისთან. ნოვოტელნოვს ზედმეტი ხარისხი და მოსაგები პოზიცია აქვს გადადებულ პარტიაში პოგრებისკისთან. ჯერ კიდევ გამოურკვეველია პოზიცია ფირცხალავა-ლუბენსკის პარტიაში. საყაიმო მდგომარეობაშია გადადებული ვასილიევ-არამანოვიჩის პარტია.

გადადებული პარტიების გათამაშება

მაკაგონოვი, რომელიც საყაიმო პოზიციაში უსაფუძვლოდ ცდილობდა მოგებაზე თამაშს, დამარცხდა ჩისტიაკოვთან. ილივიცკიმ მეთოდური თამაშით დაამარცხა კასპარიანი. გადადებულ პარტიაში კლამანთან გელერმა დიდი ოსტატობით გამოიყენა თავისი მცირე პოზიციური უპირატესობა და გამარჯვებას მიაღწია. ეს ლენინგრადელი ოსტატის პირველი დამარცხებაა. პოგრებისკი დამარცხდა ნოვოტელნოვსა და სოლმანისთან. ყაიმით დამთავრდა ლუბენსკი-არამანოვიჩის, ლუბენსკი-ვასილიევის, სოლმანის-ებრალიძის, არამანოვიჩ-ნოვოტელნოვის და ხოლმოვ-კლამანის პარტიები. დანარჩენი პარტიები კვლავ გადაიდო.

ამრიგად, რვა ტურის შემდეგ წინ არიან: პეტროსიანი—5½ (შვიდიდან), კლამანი—5½ (რვიდან), ილივიცკი—5 (შვიდიდან) და ხოლმოვი—5 (რვიდან).

დღეს, 13 მაისს, საღამოს 8 საათზე, მოწვეულია **მშრომელთა დეპუტატების თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიონული საბჭოს VI სესია.**

სესიის სხდომა შედგება პარტიის მოლოტოვის რაიკომის სხდომათა დარბაზში (ხეთაგუროვის ქ. № 2)

დღეს, 13 მაისს, საღამოს 8 საათზე, რაიკომის პარტკაბინეტის სხდომათა დარბაზში (შაუმიანის ქ. № 1) მოწვეულია **მშრომელთა დეპუტატების თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონული საბჭოს VI სესია.**

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოსოფიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 25 მაისს, დღის 2 საათზე, № 86 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **შალვა თეოფანეს-ძე კაკულია** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ი. ბ. სტალინი მუშათა მოძრაობის სტიქიურობისა და შეგნებულობის შესახებ (1901-1907 წ. წ.)“.**

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი კ. ბაქრაძე, მეცნიერების კანდიდატი დოცენტი **ნ. ცხაკაია.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 26 მაისს, დღის 3 საათზე, ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (ჯავახიშვილის ქ. № 1) პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **მიხეილ ილიას-ძე ლომინაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ისტორიზმის პრინციპი გეოგრაფიის სწავლებაში“.**

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **გ. ნ. გეხტმანი** და პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ე. ე. გოგინავა.**

შრომის გაცნობა შეიძლება ი. გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკაში (ჯავახიშვილის ქ. № 1).

საბჭოთა კავშირის გმირის გვარდიის მაიორ ჰ. ყ. ბენდელიანის სახელობის საქართველოს განათლების სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალთა თბილისის სპეციალურ საშუალო სკოლაში მოსწავლეთა მიღება იწარმოებს 1949 წლის 15 ივნისიდან 15 აგვისტომდე.

სკოლა ამზადებს კადრებს ოფიცერთა საფრენოსნო სკოლებისათვის. სამხედრო-საჰაერო ძალთა სპეციალური საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი მიიღებენ სიმწიფის ატესტატს.

მოსწავლეებს, რომლებიც სკოლას ოქროს მედლით დაამთავრებენ, ენიჭებათ სამხედრო-საჰაერო აკადემიის საინჟინერო ფაკულტეტზე უგამოცდოდ შესვლის უფლება.

სკოლაში მიიღებიან ვაჟები, რომელთაც 1948-49 სასწავლო წელს დამთავრებული აქვთ 8 კლასი, ნიშნებით „4“ და „5“. სწავლება, ტანსაცმელი (საზამთრო და საზაფხულო) და ფეხსაცმელი უფასოა, რაიონებიდან მოვლინებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და უფასო კვებით. სკოლაში შესვლის მსურველები გაივლიან სპეციალურ საექიმო და სამანდატო კომისიებს. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები: 1. ანკეტა (მიღება შეიძლება სკოლის კანცელარიაში), 2. ავტობიოგრაფია 2 ცალად (საკუთარი ხელით ნაწერი), 3. განათლების მოწმობა ნიშნებით, 4. მეტრიკული მოწმობა, 5. ცნობა მშობელთა საქმიანობის შესახებ, 6. დახასიათება სკოლის დირექტორისაგან, ხოლო ალკკ წევრებისათვის კომკავშირის ორგანიზაციისაგან, 7. ორი ფოტოსურათი, უქუდოდ (9×12).

ყველა საბუთი განმცხადებელმა პირადად უნდა შემოიტანოს სკოლის კანცელარიაში (პლეხანოვის პროსპექტი 155) ან რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებაში.

ცნობების მიღება შეიძლება ტელეფონით 3-06-63, ან უშუალოდ სკოლის კანცელარიაში ყოველდღე, გარდა კვირისა, 10 საათიდან 4 საათამდე.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მუშათა მომარაგების სამმართველო აცხადებს დაინტერესებული ორგანიზაციებისა და პირთა საყურადღებოდ, რომ აღნიშნული სამინისტროს სისტემაში შემავალი საწარმოების მუშათა მომარაგების განყოფილებები ა. წ. 1 მაისიდან **გაუქმებულია** და წარმოებს მათი ქონების (აქტივი-პასივი) გადაცემა საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს სავაჭრო ორგანიზაციებისათვის.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მუშათა მომარაგების სამმართველო.

თ ე ა ტ რ ე ბ შ ი

ფალიაშვილის სახელ. ოპერისა და ბალეტის	13-V „ტრავიატა“ 1 აბონ. 13 წარმ. 14-V „ქეთო და კოტე“ 4. აბ. 13 წარმ.
რუსთაველის სახელობის	13-V „ოტელო“ 15 აბონ. 9 წარმ. 14-V „უჩა უჩარდია“ 5 აბონ, 9 წარმ. პრემიერა
მარჯანიშვილის სახელობის	13-V „ნინოშვილის გურია“ აბ. გარეშე 14-V „მოსკოვური ხასიათი“ 14 აბ. 8 წარმ.
მუსიკალური კომედიის	13-V „ჩემი გიუზელი“ 21 აბ. 9 წარმ. 14-V „სამთა სიყვარული“ აბ. გარეშე
მოზარდ მაყურებელთა ქართული	13-V „ორი კაპიტანი“ 85 აბ. 6 საათზე

მეუღლე მაშურა, შვილები ქეთო და დარეჯან კამკამიძეები, შვილიშვილი გულიკო იუწყებიან, რომ 15-V, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **კონსტანტინე სიმონის-ძე კამკამიძის** პანაშვიდი.

შვილები თამარ, კაკო, ლუბა, რძალი ნელი აბაშიძე, სიძეები გიორგი ჭურაძე, კაკო ვაშაკიძე, შვილიშვილები ხუტა, არჩილ, ლია, ლევან, ნანა იუწყებიან **ლუბა მაქსიმეს ასულ კაკაბაძე-ფირცხალავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14-V, 8 ს. გამოსვენება 15-V, 3 ს. გორის, 22.

შვილები ვიქტორ და ელენე იაშვილები ოჯახებით და მარგო ჩხეტიანი ოჯახით იუწყებიან **ანა იაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-V წნორში.

საქართველოს სსრ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექცია და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ა. მგელაძეს **მიშა მგელაძის** გარდაცვალების გამო.

მშობლები ლიდა და გერმანე, დები თინა და ეთერ კაჯაიძეები იუწყებიან **კოკი კაჯაიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14-V, 8 ს. გამოსვენება 15-V, 4 ს. რუსთაველის, 2.

დეიდა ეკატერინე, ბიძა პარმენ ჩაჩუები, დეიდაშვილები თამარ, ნადია, ქენია, სიძეები ისიდორე, იაშა და ლეო იუწყებიან **კოკი კაჯაიძის** გარდაცვალებას.

ა. ინწკირველი, ვ. ოთხმეზური, ვ. ნემსაძე, ა. კანდელაკი, ქ. ტყემალაძე, შ. კინწურაშვილი, გ. ცქიმანაური, ა. სიჭინავა, ქ. ნანეიშვილი და ს. ასლანიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ექიმ მ. მგელაძეს მისი შვილის **მიშას** გარდაცვალების გამო.

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ბიბლიოთეკის თანამშრომლები იუწყებიან **ქეთევან გიორგის ასულ მგალობლიშვილის** გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

მეუღლე ჰაპა, შვილები მიშა, ვალიკო, ვანო, ლიდა, ნინო, ძმისწულები მიტო, კოტე, რძლები ნინუცა, პაშა, ლიზა, ლილი, ნინო ჭანტურიები და სიძეები იუწყებიან **მალაქია ნიკოლოზის-ძე ჭანტურიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-V აბაშაში.

მეუღლე შოთა, დედამთილი ელისა, მამამთილი ნესტორ, ქუქუნა, ბეგლარ ოჯახით დანელიები, დავით ცოლშვილით, მარო სიგუა იუწყებიან **ნორა მალაქიას ასულ ჯღარკავა-დანელიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-V ლეხაინდრაოში (გეგეჭკორის რ.).

პროფესორი მესტიაშვილი, მუჯირი, ლორთქიფანიძე, კანდელაკი, მესხი, მჭედლიშვილი, ღლონტი, ჟორდანია, კარტოზია, დეკანოზიშვილი, ღლონტი, კიტია, მაჯაგალაძე, ჩახალაშვილი, თოიძე, მანჯავიძე, უკლება ლობჟანიძე იუწყებიან მ. მგელაძის შვილის **მიშას** გარდაცვალებას.

მეუღლე ნინო, შვილები გიორგი, ვახტანგ, ეთერ, რძალი ქეთევან ვაჭარაძე, სიძე გიორგი სამსონიძე, შვილიშვილები მერი, თემური იუწყებიან, რომ 15-V, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ნიკოლოზ იოსების-ძე მირიანაშვილის** პანაშვიდი.

შ. კახიანი, მ. დავითაშვილი, ლ. ფავლენიშვილი, გ. ძიძიგური, ვ. ამირხანაშვილი, ნ. დადიანი, თ. კორძახია, თ. თავზარაშვილი, ა. ბოლქვაძე, გ. ჟორჟიკაშვილი, მ. ჯიქია, ი. ცაბაძე თანაგრძნობას უცხადებენ მ. მგელაძეს მისი შვილის **მიხეილ მგელაძის** გარდაცვალების გამო.

შვილები ბართლომე, პოლინე, სანდრო, თეოფილე, რძლები ნინო, კლავდია, ნინო, თეო, თამარ და ნინო, შვილიშვილები იუწყებიან **ესე ალმასხანის-ძე ჩხარტიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-V დ. სუფსაში.

გ. ასიტაშვილი, გ. ყენია, ო. თოდაძე, ჩ. კალანდაძე, ი. შენგელია, გ. გოგიბერიძე, ნ. ლეჟავა, ა. ციხითათრიშვილი, მ. ეპიტაშვილი, ს. გაგუა, თ. გოთუა, ნ. მენთეშაშვილი, ო. ჭანტურია იუწყებიან ექიმ **მიხეილ მიხეილის-ძე მგელაძის** გარდაცვალებას.

ყვარლის რაიონის ენისლის საშუალო სკოლის მასწავლებლები იუწყებიან XI კლასის მოსწავლის **ბიძინა სოლომონის-ძე თვალჭრელიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე იუსტინე, შვილები ლიზა, თამარ, ეველინა, გიორგი, შალვა, დავით, რძლები მუსია, ქეთევან, თამარ, სიძეები ნოე მალაზონია, მიხეილ ვაშაკიძე იუწყებიან, რომ 15-V, 3 ს. ქ. მახარაძეში მოიდანახის სასაფლაოზე დანიშნულია **იაგორ გაბრიელის-ძე დოლიძის** პანაშვიდი.

ვ. გასეიანი, ნ. ბეროზაშვილი, ა. მუზაშვილი, მ. დიდიმამიშვილი, ნ. ლომთათიძე, პ. ლომთაძე, მ. ლებედევა, ქ. ასათიანი თანაგრძნობას უცხადებენ ქ. შატილოვას მისი მამის პროფესორ **ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე შატილოვის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე გიორგი, შვილები ნადია, ვალიკო, რუსუდან, დები ოლია, ივლიტა, რძალი მავრა, სიძე დ. კუბლაშვილი, შვილიშვილები იუწყებიან, რომ 15-V, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ანასტასია პავლეს ასულ მარშანიას** პანაშვიდი.

ნ. სტეფანიშვილი, ნ. სტურუა, ს. ბერიძე, ზ. გეგეშიძე, ლ. სტურუა, ნ. მარგალიტაძე, ქ. გოგიავა, მ. ზაუტაშვილი იუწყებიან **ქეთო გიორგის ასულ მგალობლიშვილის** გარდაცვალებას.

ქალთა 34-ე საშუალო სკოლის ადმინისტრაცია და პედკოლექტივი თანაგრძნობას უცხადებენ ა. მგელაძეს მისი ძმისწულის **მიშა მგელაძის** გარდაცვალების გამო.

ნატალია, დავით, სოლომონ თოხაძეები, მარო, ბესარიონ დოლიძეები, ტერეზა, გერმანე ურუშაძე, ანა ერქომაიშვილი ოჯახებით იუწყებიან **მიშა მგელაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ტარასაშვილი შვილებით, ძმა ლადო ოჯახით, სიძე ა. კოტუა, ვანო გუდიაშვილი იუწყებიან, რომ 15-V, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია ექიმ **ვახტანგ დავითის-ძე გუდიაშვილის** პანაშვიდი.

დეიდა გაიანე, ბიძა ალისტრო ტოროტაძეები, ალიოშა რამიშვილი, მიხეილ წაქაძე, ემილიანე ხუხუნაიშვილი შვილებით იუწყებიან **მიშა მგელაძის** გარდაცვალებას.

და ანეტა მგალობლიშვილი, გეგენო და პეტრე ქლენტები შვილებით მანანა და ასინეთით იუწყებიან **ქეთო გიორგის ასულ მგალობლიშვილის** გარდაცვალებას.

ვერა და გიორგი ნათიძეები შვილით თამაზით, რძლები ლილი და სონია, ძმისშვილები ოთარ და ნანა მგალობლიშვილები იუწყებიან **ქეთო გიორგის ასულ მგალობლიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14-V, 8 ს. გამოსვენება 15-V, 2 ს. ბელინსკის, 22.

ქსენია, პროკლე კეკელიძეები შვილებით ნოდარით და გიზით თანაგრძნობას უცხადებენ მიხაკო და ქეთო მგელაძეებს მათი შვილის **მიშას** გარდაცვალების გამო.

მეუღლე პოლინე, შვილები ოლია, კატო, შურა, მარიამ, მიხეილ, ივანე, რძლები ნატაშა, მარო იმნაიშვილები იუწყებიან **ბესარიონ იმნაიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-V შუხუთში (ლანჩხუთის რაიონი).

ესაკია, გაბესკირია, ზურაბიშვილი, ქადაგიშვილი, ძიძიგური, ნიკოლაძე, ქუთათელაძე, ანთელავა, ბოკერია, გიორგაძე, სირბილაძე, გოგიავა, დადიანი, ჰეიშვილი, სოსელია, გაბელია, ძიგუა, ტყემალაძე, მანჯგალაძე, არჩვაძე თანაგრძნობას უცხადებენ შ. ჯიქიას მისი დედის **სუსანა ჯიქიას** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი—3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. — ტირაჟი 150.000 — უე 01985